
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მიზანი

- საქართველოში თავისუფალი საინფორმაციო სივრცის შექმნა;
- კანონპროექტების შემუშავების ხელშეწყობა, რომლებიც ეხება მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებას თავისუფლად მოიძიონ, მიიღონ, გადასცენ და გაავრცელონ ინფორმაცია;
- საჯარო ინფორმაციის მიღებაში ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებათა რეალიზაციის მხარდაჭერა;
- საზოგადოებრივი და სოციალური მნიშვნელობის ინფორმაციის საჯაროობის ხელშეწყობა კანონით გათვალისწინებული საქმიანობით და მეთოდებით;
- სამთავრობო სტრუქტურების მხარდაჭერა ინფორმაციის თავისუფლების საკანონმდებლო ბაზის განვითარებაში;
- ინფორმაციის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა;
- საქართველოში არსებული სამართლებრივი სისტემების გაუმჯობესებისა და არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით სამეცნიერო თუ პრაქტიკული საქმიანობების წარმართვა;
- საქართველოში თანამედროვე ელექტრონული მმართველობის (E-government, E-governance) ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ შეიქმნა საქართველოში, 2009 წლის 8-11 მაისს თელავში გამართული ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო კონფერენციის ფორმატში (<http://freedominfo.org/news/20090522.htm>). ინსტიტუტის დამფუძნებლები არიან ლევან ავალიშვილი და გიორგი კლდიაშვილი.

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების არქივის (**The National Security Archive, George Washington University, Washington, DC**). (www.nsarchive.org) მხარდაჭერითა და კონფერენციის მონაწილეთა ინიციატივით გადაწყდა რეგიონული ქსელის ჩამოყალიბება, სადაც გაერთიანებულია პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ინფორმაციის თავისუფლების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები (www.foi-eurasia.org).

ერთობლივი პროგრამის ფარგლებში იგეგმება:

- სამთავრობო სტრუქტურების ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგის საერთო მეთოდოლოგიური ბაზის შემუშავება;
- საერთაშორისო მონიტორინგისთვის აუცილებელი ერთობლივი ონლაინ სისტემის შექმნა;
- სასამართლო პროცესების წარმართვისა და განხორციელების ერთობლივი სტრატეგიის დანერგვა;
- ნაციონალური საიტების ერთობლივი ვებ-პორტალის განვითარება;
- საერთაშორისო ანალიტიკური რესურს ბაზის შექმნა (ინფორმაციის თავისუფლების სფეროში მოღვაწე ექსპერტების ჯგუფი).

ახალი საინფორმაციო რეალობა და ინტერნეტი

თავისუფალი საზოგადოების საფუძველთა საფუძველი ინფორმირებული მოქალაქეა. რაც მეტი იცის ხალხმა ხელისუფლების საქმიანობის შესახებ, მით უფრო უკეთ იმართება ქვეყანა, ვინაიდან მთავრობის გამჭვირვალობა ქვეყნის განვითარებისა და ხელისუფლების ხალხისადმი ანგარიშვალდებულების საუკეთესო წინაპირობაა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნები ვრცელდება სახელმწიფო და თვითმმართველობის ყველა ორგანოსა და დაწესებულებაზე. ეს მოთხოვნები ვრცელდება მათზეც, ვისაც სახელმწიფომ გარკვეული უფლებამოსილების განხორციელება მიანიჭა, რომლებიც ნაწილობრივ ან სრულ დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან. ყველა ამ პირს, ორგანოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას, კანონი ერთ კატეგორიაში აქცევს და საჯარო დაწესებულებას უწოდებს. მიუხედავად ასეთი ლიბერალური კანონმდებლობისა, სახელმწიფო სტრუქტურების გამჭვირვალობის ხარისხი მაინც არასათანადო დონეზეა. ამას ემატება მოქალაქეთა გაუთვითცნობიერება საკუთარი კანონიერი უფლებების შესახებ მოითხოვონ, მოიძიონ და მიიღონ კანონით ნებადართული ინფორმაცია. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები როდესაც საჯარო მოხელეებს თავად არ აქვთ სრულად გაუთვითცნობიერებული კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ.

ხალხსა და ხელისუფლებას შორის ნდობის ხარისხის ასამაღლებლად სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაში საზოგადოება ბევრად უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული. ამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა კი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაა.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ინტერნეტი საზოგადოებისთვის იქცა ხელისუფლების ეფექტური კონტროლის მნიშვნელოვან მექანიზმად.

თანამედროვე სამყაროში ინტერნეტმა განსაკუთრებით გააადვილა ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობა, ხელი შეუწყო მართვის გამჭვირვალობასა და მუდმივ საზოგადოებრივ კონტროლს ხელისუფლების ქმედებებზე.

ინტერნეტის დახმარებით ხელისუფლების ოფიციალური ვებ-გვერდები ყველაზე ოპტიმალურ საშუალებად იქცა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოების პირდაპირი ურთიერთკავშირისთვის.

ინტერნეტი საშუალებას აძლევს საზოგადოებას სწრაფად, მინიმალური ეკონომიური და ფიზიკური დანახარჯებით, თვალი ადევნოს სახელმწიფოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ინიციატივებს, პროგრამებს, ხელისუფლების მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ ქმედებებს. უშუალოდ, აქტიურად ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების კონტროლის პროცესში.

ერთიანი ინფორმაციული სივრცე მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს თანაბარ უფლებებს აძლევს სახელმწიფო საინფორმაციო რესურსებით სარგებლობისა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის, რომლებიც მოკლებული არიან შესაძლებლობას - აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში და მხოლოდ ამ პროცესებზე დაკვირვებით შემოიფარგლებიან.

ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასათვის 24 საათის განმავლობაში, კვირის ნებისმიერ დღეს. ინტერნეტის მომხმარებელი არ არის დამოკიდებული მხოლოდ პრესის და მას-მედიის საშუალებებზე. მას ანალიზის და საკუთარი დასკვნების გაკეთების უფრო ფართო პორიზონტი აქვს.

ახალი საინფორმაციო რეალობა, აუცილებლად უნდა აისახოს ქართულ კანონმდებლობაშიც.

მაგალითად, დღესდღეობით ქართული კანონმდებლობა არ ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებსა და სტრუქტურებს, შექმნან საკუთარი ვებ-პორტალები ინტერნეტ სივრცეში. შედეგად, სახელმწიფო სტრუქტურები მოქმედებენ საკუთარი კეთილი ნებისა თუ შეხედულებით. შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოების ოფიციალური ვებ-გვერდების შინაარსიც არ რეგულირდება არანაირი საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით და მათი კონტენტი ხშირად არ ასახავს სოციალურად მნიშვნელოვან ინფორმაციას. ინტერნეტ-გამჭვირვალობა კი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის.

სახელმწიფო სტრუქტურების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, საზოგადოების და მედიის ჩართულობა გადანყვეტილების მიღების და განხილვის პროცესში, ურთიერთნდობის ხარისხის ამაღლება - ყველა ეს საკითხი პირდაპირ კავშირშია თანამედროვე ელექტრონულ მმართველობასთან.

ვირტუალური სივრცე საშუალებას აძლევს მოქალაქეებს უშუალოდ განახორციელონ საკუთარი პოტენციური ქვეყნის განვითარების და სოციალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა სფეროში.

მოქალაქეთა ჩართვა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში აუცილებელი პირობაა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციონალიზმის განვითარების და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებისათვის.

ქართული ვებ-სივრცის განვითარება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა უფლების სრულ რეალიზებას ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების კუთხით.

ამავე დროს, თავად ხელისუფლებას ექმნება უნიკალური საშუალება პირდაპირი კავშირი იქონიოს საკუთარ მოსახლეობასთან. თუ მასმედია ერთგვარ შუამავლის როლს ასრულებს ხელისუფლების და საზოგადოების ურთიერთკავშირში, ინტერნეტ სივრცე ხელმისაწვდომს ხდის პირდაპირ კონტაქტს ხელისუფალსა და მოქალაქეს შორის, იგი გვევლინება ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდად, თანამედროვე ინფორმაციულ რეალობაში.



ელექტრონული ხელისუფლების და ელექტრონული მმართველობის კონცეფციის რეალიზება ძალიან ბევრ ბენეფიტს მოუტანს ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს:

- **გაუმჯობესდება სახელმწიფო მმართველობის ხარისხი;**
- **გამჭვირვალე გახდება სახელმწიფო გადანყვეტილებების აღსრულების პროცესი;**
- **საზოგადოებას საშუალება ექნება აკონტროლოს ხელისუფლების საქმიანობა რეალური დროის რეჟიმში;**
- **საზოგადოება ჩართული იქნება არა მარტო სახელმწიფო პროგრამების კონტროლის, არამედ მათი დაგეგმვის პროცესშიც.**

ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა საქართველოში წლიდან წლამდე საგრძნობლად იზრდება. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის ანგარიშის მიხედვით, ADSL აბონენტების რაოდენობის ზრდის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

ინტერნეტი საშუალებას აძლევს საზოგადოებას სწრაფად, მინიმალური ეკონომიური და ფიზიკური დანახჯებით, თავი ადევნოს სახელმწიფოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ინიციატივებს, ჰმოგხამებს, ხელისუფლების მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ ქმედებებს. უშუალოდ, აქტიუხად ჩაეხიოს გადანყვეტილების მიღებისა და აღსრულების კონტროლის ჰმოცესში.

2004 წელს მათი რიცხვი იყო 4,245, 2005 წელს - 15,263, 2007 წელს - 41,123, ხოლო 2008 წელს - 96, 131. ინტერნეტ მომსახურების საბოლოო მომხმარებელთა რაოდენობამ კი 2008 წელს 903 ათასს გადააჭარბა.



საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა ზრდის ტემპის გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში სახელმწიფო ორგანოების ინტერნეტ-გვერდები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროდ გადაიქცევიან მოსახლეობისათვის, ამავე დროს ვირტუალური სივრცე უმნიშვნელოვანეს ფუნქციას შეასრულებს ხელისუფლებისა და საზოგადოების კონტაქტში.

ზემოთ აღნიშნულის წინაპირობას ქმნის შემდეგი ობიექტური გარემოებები:

- სახელმწიფო ორგანოები და სტრუქტურები ყველაზე სრულ სოციალურად მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე;
- ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვის ზრდასთან ერთად ოფიციალური ვებ-გვერდების მონახულებისა და იქიდან ინფორმაციის მოთხოვნის მაჩვენებელი ყოველდღიურად იზრდება;
- ინტერნეტ-გვერდები იქცა ყველაზე სწრაფ, ოპტიმალურ და ეკონომიურ საშუალებად, რათა ხელისუფლებამ მიაწოდოს მოსახლეობას საკუთარი ხედვა რეალურ რეჟიმში;
- ამავე დროს, ოფიციალური საიტები ხელისუფლებას აკისრებს მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას მათ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე.

მოქალაქეს საშუალება ექმნება გაეცნოს ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციას ამა თუ იმ საკითხზე, გაანალიზოს იგი და შეადაროს ინფორმაციის სხვა წყაროებს - ანუ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ცხოვრებაში.

ამავე დროს, სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ონლაინ რეჟიმში ავრცელებენ ინფორმაციას საკუთარი ქმედებების და გადანყვეტილებების შესახებ, გაცილებით მეტად ანგარიშვალდებულნი იქნებიან საზოგადოების მიმართ. ეს არა მარტო უფრო დისციპლინირებულს გახდის მათ საკუთარი გადანყვეტილებებისა და ნაბიჯების მიმართ, არამედ სტიმულს მისცემს მათ სოციალურ ორიენტაციასაც.

„ელექტრონული მმართველობის“ კონცეფციის რეალიზაცია აამაღლებს ხელისუფლების ეფექტურობის ხარისხს და ამავე დროს ხელს შეუწყობს ხელისუფლების საზოგადოებრივ გამჭვირვალობასაც.

ინსტიტუტის წინასწარი მოკვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ საქართველოს სამთავრობო უწყებების ვებ-საიტთა უმრავლესობა - არასრულ და, ხშირად, დაგვიანებულ ინფორმაციას აქვეყნებენ საკუთარი საქმიანობის, გადანყვეტილებების და ქმედებების შესახებ. რეგიონულ დონეზე პრობლემები კიდევ უფრო ბევრია. მუნიციპალურ ორგანოთა უმრავლესობას საერთოდ არ აქვს ვებ-გვერდი, ხოლო მოქმედ ვებ-გვერდზე მხოლოდ არსებული ინფორმაციის მცირე ნაწილია თავმოყრილი. არ არსებობს, არანაირი ერთიანი სტანდარტი ან რესურს-ბაზა.

ხელისუფლებას ექმნება უნიკალური საშუალება პიხდაპიხი კავშირი ოქონოს საკუთარ მოსახლეობასთან. თუ მასმედია ეთოგვახ შუამავის ხოცს ასხელებს ხელისუფლების და საზოგადოების უხითიუთავშიში, ინტეხნეტ სივხიუ ხელმისანვდომს ხდის პიხდაპიხი კონტაქტს ხელისუფალსა და მოქალაქეს შოხის, იგი გვევლინება ხელისუფლებისა და საზოგადოების ეთოგვახ დამაკავშიხებელ ხიდად, თანამედხიოვე ინფოხმაცოეუე ხეალობაში.

ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები

პოლიტიკურ მაცნეიარებათა ღოქტორი, პროფესორი ქეთევან როსტიაშვილი

თანამედროვე მსოფლიო ცხოვრობს უდიდესი ტექნოლოგიური ძვრების პირობებში. აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ციფრული ტექნოლოგიების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების, განსაკუთრებით კი ინტერნეტის დანერგვამ შესაძლებელი გახადა არნახული სისწრაფით ინფორმაციის მოპოვება/გავრცელება მთელი პლანეტის მასშტაბით, რამაც დასაბამი მისცა უპრეცედენტო გლობალურ სოციო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. შესაძლებელი გახდა მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა კუთხის ურთიერთდაკავშირება და სწრაფი ინტეგრაციული პროცესების განვითარება. ეს კი უშუალო ზეგავლენას ახდენს ქვეყნების ყოველდღიურ ცხოვრებაზე; ხელს უწყობს ადამიანების მიერ ახალი ტიპის გაერთიანებების, ასოციაციების შექმნას ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე, რაც, ახლო თუ გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვნად შეცვლის სახელმწიფოთა მართვისა და მონყობის პრინციპებსა თუ შინაარსს.

19-ე საუკუნის ტექნოლოგიურმა გადატრიალებებმა ენერგეტიკასა და გადამუშავების სფეროებში ხარისხობრივად შეცვალა დასავლეთის სახელმწიფოები. მოხდა მათი ტრანსფორმაცია აგრარული ტიპის საზოგადოებიდან ინდუსტრიულ სახელმწიფო მონყობად. 20-ე საუკუნის 60-იანი წლებიდან ტექნოლოგიური რევოლუციის ახალმა ტალღამ ციფრული, საინფორმაციო და საკომუნიკაციო გამოგონებების სფეროში დაასრულა დასავლეთის ქვეყნებში ინდუსტრიული ეპოქა და ის პოსტინდუსტრიულ, „საინფორმაციო საზოგადოებად“ შეცვალა. „საინფორმაციო საზოგადოების“ ერთ-ერთ ნამყვან ფაქტორად იქცა ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლა. ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის უდიდესი წილი ეფუძნება არა ინდუსტრიულ სექტორს (როგორც ეს ინდუსტრიულ ეპოქაში იყო), არამედ მომსახურების სფეროს, კერძოდ კი, საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმოებასა და მომსახურებას.¹

ტექნოლოგიურმა ძვრებმა შეცვალა არა მარტო ეკონომიკის, არამედ საზოგადოების სოციალური შემადგენლობაც, რამაც ახალი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე დააყენა ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და მათი მმართველობის რეჟიმები. **ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების უპრეცედენტო ზრდის შედეგია ციფრული დემოკრატიისა და ელექტრონული მმართველობის დამკვიდრება დასავლეთის სახელმწიფოებში.**

დემოკრატიის განვითარების ხარისხობრივად ახალი, უფრო მაღალი საფეხურია ციფრული დემოკრატია, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის დემოკრატიის პოტენციალს, მის ეფექტიანობასა და ქმედითობას. ციფრული დემოკრატია ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ინტერაქტივს, ურთიერთქმედებას, გლობალურ სოციალურ კავშირებს, სიტყვის თავისუფლების უპრეცედენტო შესაძლებლობებს, გლობალურ თავისუფალ ასოციაციათა შექმნას და ინფორმაციის გავრცელებას, პროფესიული და საზოგადოებრივი პერსპექტივების ზრდას, რაც შლის, გარკვეულწილად, ერი-სახელმწიფოს იდენტურობას და აყალიბებს გლობალურ და ლოკალურ იდენტურობებს. აძლევს ახალ შესაძლებლობებს ბიზნესსა და მთავრობებს. ხელს უწყობს მოქალაქეების მონაწილეობას სახელმწიფოთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გაცილებით

1. Peter Drucker (1969) The Age of Discontinuity. London: Heinemann; Marc Porat (1977) The Information Economy. Washington, DC: US Department of Commerce; Daniel Bell (1976) The Coming of Post-Industrial Society. New York: Basic Books; Kenneth Galbraith (1967) The New Industrial State. Woodstock, Princeton University Press.

უფრო დინამიურს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებას.¹

ციფრული დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი და მისი ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ელექტრონული მმართველობაა. მას დასავლეთში უწოდებენ „Electronic government, E- government“.

ელექტრონულ მმართველობას შეუძლია სახელმწიფო სექტორის ყოველდღიური მუშაობა გახადოს გაცილებით უფრო: ხაზიონალური, ხალხთან დაახლოებული და ამასთან გაცილებით უფრო ეკონომიური; დაზოგოს ფინანსები, მატერიალური და ადამიანური რესურსები; მისი მეშვეობით გაცილებით უფრო ეფექტიანი ხდება სახელმწიფოს უსივრცეობა საზოგადოებასთან, მოქალაქესთან, ჰეგონებთან, ბიზნესთან, ასევე თვით სახელმწიფო სტრუქტურებს შორის უსივრცეობა; აადვილებს და აჩქარებს საქმეთა წახმოვანებას და მოქალაქეთა მომსახურებას

და კომუნიკაციათა ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყნის მართვის პროცესში. ის მოიცავს როგორც ადგილობრივ თვით-მმართველობას, ასევე სახელმწიფო მმართველობას ეროვნულ დონეზე და უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. მისი ძირითადი ინსტრუმენტებია ციფრული ტექნოლოგიები და გლობალური კომუნიკაციური სისტემები, რაც საშუალებას იძლევა შექმნას სახელმწიფო ორგანიზაციების ვებ-გვერდები, განთავსდეს ინფორმაცია მათი საქმიანობის, ბიუჯეტების მდგომარეობის, კონკურსების, ვაკანსიების შესახებ, ხელმისაწვდომი გახდეს მნიშვნელოვანი მოვლენები, ახალი ამბები. ეს კი უპრეცედენტოდ ზრდის ხალხის მონაწილეობის შესაძლებლობას ქვეყნის მართვის საქმეში.²

სპეციალისტთა აზრით, „**ელექტრონულ მმართველობას სახელმწიფო სექტორის ტრანსფორმაციის უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია**“.³ ელექტრონულ მმართველობას შეუძლია სახელმწიფო სექტორის ყოველდღიური მუშაობა გახადოს გაცილებით უფრო: რაციონალური, ხალხთან დაახლოებული და ამასთან გაცილებით უფრო ეკონომიური; დაზოგოს ფინანსები, მატერიალური და ადამიანური რესურსები; მისი მეშვეობით გაცილებით უფრო ეფექტიანი ხდება სახელმწიფოს ურთიერთობა საზოგადოებასთან, მოქალაქესთან, რეგონებთან, ბიზნესთან, ასევე თვით სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ურთიერთობა; აადვილებს და აჩქარებს საქმეთა წარმოებას და მოქალაქეთა მომსახურებას.⁴

დღესდღეობით ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობა მსოფლიო პრობლემაა. სახელმწიფო მართვის გამჭვირვალობა, საქმის წარმოების სისტემატური ანგარიშგება, სამართლიანი და უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ხალხის მომსახ-

1. Digital Democracy, Discourse and Decision Making in the Information Age. (1999), Edited by Barry N.Hugue and Brian D.Loader;London: Routledge, p.XII.see: http://books.google.com/books?id=ILHoHbTPXKkC&dq=Digital+Democracy,+Discourse+and+Decision+Making+in+the+Information+Age&printsec=frontcover&source=bn&hl=en&ei=5EKdSsvjL4Kc_AabutzuAg&sa=X&oi=book_result&ct=result&resnum=4#v=onepage&q=&f=false
Manuel Castells (2000), The Information Age, Economy, Society and Culture, The Rise of the Network Society, Malden, Ma:Blackwell.
2. Clift, S. (2004). E-Democracy Resources, Public Strategies for the Online World: see: <http://www.publicus.net/articles/edemresources.html>, Bellamy C., T. J. (1998). Governing in the Information Age. Great Britain: Biddles Ltd., Stockwell, S. (2001). Hacking Democracy: the Work of the Global Citizen. The Southern Review-Online Journal , 34 (no. 3), 87-103. Jean-François Lyotard (1984) The Postmodern Condition. Manchester: Manchester University Press, Darin Barney (2003) The Network Society. Cambridge: Polity.
3. United Nations e-Government Survey 2008, From e-Government to Connected Governance. Department of Economic and Social Affairs Division for Public Administration and Development Management, New-York: Uited Nations, 2008, p. III. See: <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/UN/UNPAN028607.pdf>
4. Ibid, pp.12-18.

ურება - ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან და ეფექტიან სახელმწიფო მართვის სისტემას და საზოგადოების დინამიურ სოციო-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ განვითარებას.

ვინაიდან დღესდღეობით ნაყოფიერი სახელმწიფო მართვა წარმოუდგენელია ელექტრონული მმართველობის გარეშე, საქართველოში ამ ახალი სისტემების დანერგვას, კერძოდ, ელექტრონული მმართველობის დამკვიდრებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შექმნილია კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ მონოდებულია, რომ განსაზღვროს: კავშირგაბმულობის, ფოსტის და საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა; საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ქსელებისა და საშუალებების განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგია და პრიორიტეტები; მათზე დაფუძნებული პროგრამები; განახორციელოს მათი მონიტორინგი.¹ კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უშუალო მისიაა **„საქართველოს ელექტრონული ხელისუფლების კონცეფციის, სტრატეგიული გეგმისა და პროგრამის შემუშავება, სახელმწიფო მმართველობის სრულყოფისათვის საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება; საერთაშორისო წესებისა და რეკომენდაციების შესაბამისად გეოსტაციონარულ ორბიტაზე საქართველოს პოზიციების გამოყენების, რადიო-ელექტრონულ საშუალებათა ელექტრომაგნიტური შეთავსებადობის, ტექნიკური პოლიტიკის შემუშავება და მათი საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის ღონისძიებათა განხორციელების კოორდინაცია;“² საქართველოს წარდგენა და მისი ინტერესების დაცვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ზემოაღნიშნული საქმიანობის განხორციელების მიზნით დეპარტამენტში შექმნილია ინფოკომუნიკაციების სამმართველო, ისე, როგორც საფოსტო კავშირის სამმართველო.**

2006 წლის მარტის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი³, რომელმაც შეიმუშავა მეტად მნიშვნელოვანი კონცეპტუალური დოკუმენტები. მათ შორისაა: **საქართველოს ინფორმაციის სახელმწიფო კონცეფციის პროექტი და ელექტრონული მმართველობის კონცეფცია.**

საქართველოს ინფორმაციის სახელმწიფო კონცეფცია (პროექტი) სამი თავისგან შედგება და ისახავს საქართველოში საინფორმაციო გარემოს შექმნისა და ჩამოყალიბების მიზნებსა და ამოცანებს, კერძოდ, საინფორმაციო გარემოს განვითარებისთვის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ, სამართლებრივ, სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, ფინანსურ თუ ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ უზრუნველყოფას; ასევე **„საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პერსონალის მომზადება-გადამზადების, საინფორმაციო პროდუქტების და მომსახურების წარმოებისა და მოხმარების მასობრივი სწავლების სისტემათა შექმნას“⁴ პრაქტიკულად, ეს კონცეფცია გახლავთ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქ-**

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, იხილეთ: <http://www.economy.ge/?category=20&lang=geo>
2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, <http://www.economy.ge/?category=20&lang=geo>
3. საქართველოს ინფორმაციის სახელმწიფო კონცეფციის პროექტი, ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, იხილეთ: http://www.cegstar.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=46&info_id=15
4. საქართველოს ინფორმაციის სახელმწიფო კონცეფციის პროექტი, ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, იხილეთ: http://www.cegstar.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=46&info_id=15

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით საქართველო თავისი ეკონომიკური მაჩვენებლებით ამაყოფილებს დასავლეთის ტიპის საინფორმაციო საზოგადოების მოთხოვნებს და მისი მთლიანი შიდა პროდუქტის უმეტესი ნილი 59.6% მოდის მომსახურების სექტორზე. ის მსოფლიო ხუჯაზე ჩრება საქმაოდ ჩამოჩრნიც ქვეყნად ინფორმაციზაციისა და ელექტრონული მმართველობის თვარცაზხისით.

ტურის მომზადებისა და განვითარების საფუძველი საქართველოში.

ამავე ცენტრის მიერ შემუშავდა მეორე მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი ელექტრონული მმართველობის შესახებ - კონცეფცია სახელწოდებით: „ელექტრონული მთავრობა საქართველოსათვის: არსი, აქტუალობა, შექმნის პერსპექტივები და შესაძლებლობანი.“¹ დოკუმენტი შედგება 7 თავისგან და მოიცავს ელექტრონული მმართველობის ძირითად პრინციპებს, რეფორმირების მიზნებსა და საშუალებებს, დამკვიდრების ხელშეშლელ ფაქტორებს, ამოცანებსა და პერსპექტივებს. კონცეფციაში დიდი ადგილი ეთმობა ადგილობრივი თვითმმართველობის ელექტრონული მთავრობის შექმნას; ლოკალური ინფორმაციზაციის პროგრამულ და ნორმატიულ უზრუნველყოფას; ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და ადგილობრივი სამსახურების რაციონალური მოდელის შექმნას და ფუნქციონირებას; ელექტრონული მთავრობის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ, საფინანსო და საკადრო უზრუნველყოფას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ელექტრონული მთავრობის თვითმმართველობის ახალი შესაძლებლობების დამკვიდრებას ოთხი ძირითადი მიმართულებით, რაც უკვე ფართოდაა დანერგული და გავრცელებული დასავლეთში:

- 1) ელექტრონული მმართველობა მოქალაქეებისათვის G2C (Government to Citizen - „სახელმწიფო მოქალაქეებისათვის“) სისტემით;
- 2) კერძო კომპანიებისთვის G2B (Government to Business - „სახელმწიფო ბიზნესისთვის“);
- 3) საჯარო მომსახურებისთვის G2E (Government to Employee - „სახელმწიფო მოხელეებისათვის“);
- 4) სხვადასხვა დარგის და დონის (ეროვნული, სუბ-ეროვნული, ადგილობრივი) ორგანოებს შორის G2G (Government to Government - „მმართველობა მმართველობისათვის“).²

სამწუხაროდ, ელექტრონული მმართველობის შესახებ კონცეფცია არ არის ჯერ რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ და, შესაბამისად, არაა ჩამოყალიბებული განხორციელების ვადები, ფინანსური რესურსები თუ მაკონტროლებელი ორგანოები. კონცეფცია მხოლოდ საჯარო განხილვის დონეზეა, ისე როგორც კონცეფცია ინფორმაციზაციის შესახებ, რაც, გარკვეულწილად, აფერხებს ქვეყნის შემდგომი ინფორმაციზაციისა და ელექტრონული მმართველობის პროცესის დროულ განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით საქართველო თავისი ეკონომიკური მაჩვენებლებით ამაყოფილებს დასავლეთის ტიპის საინფორმაციო საზოგადოების მოთხოვნებს და მისი მთლიანი

1. ელექტრონული მთავრობა საქართველოსათვის: არსი, აქტუალობა, შექმნის პერსპექტივები და შესაძლებლობანი, ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, იხილეთ: http://www.cegstar.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=46&info_id=1084

2. Ibidem.

შიდა პროდუქტის უმეტესი წილი 59.6% მოდის მომსახურების სფეროზე.¹ ის **მსოფლიო რუკაზე რჩება საკმაოდ ჩამორჩენილ ქვეყნად ინფორმაციზაციისა და ელექტრონული მმართველობის თვალსაზრისით.**

მსოფლიო მასშტაბით ელექტრონული მმართველობის ხარისხისა და ეფექტიანობის შესახებ მეტად საინტერესო კვლევები აქვს ჩატარებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტის სახელმწიფო მართვისა და განვითარების უწყების სპეციალისტებს. მათ მიერ მომზადებული „ელექტრონული მმართველობის 2008 წლის ანგარიშში - ელექტრონული მმართველობიდან ერთიანი მმართველობისკენ“ წარმოადგენს 190 ქვეყნის სახელმწიფო ვებ-გვერდებისა და მოსახლეობის გამოკითხვის ბაზაზე ელექტრონული მმართველობის ხარისხის ანალიზს. ეს დოკუმენტი საინტერესოა არა მარტო შინაარსითა და დასკვნებით, არამედ სტატისტიკური მასალითაც. ასევე მეტად მნიშვნელოვანია მეთოდოლოგია, რომელიც იყო გამოყენებული ელექტრონული მმართველობის ხარისხის შესწავლისას. ამიტომ გთავაზობთ ამ გამოკვლევის შედეგებს საქართველოსთან მიმართებაში.²

კვლევის ძირითად, კონცეპტუალურ საგანს წარმოადგენდა - მართვის სფეროში მსოფლიოს თანამეგობრობის მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შეფასება. შემუშავებული იყო ერთიანი, ძირითადი **„ქვეყნების მიერ ელექტრონული მმართველობის გამოყენების მზადყოფნის ინდექსი“**. ეს გახლდათ რთული, მრავალკომპონენტიანი კატეგორია. ქვეყნებში არსებული ვითარების გამოსავლენად ძირითადი ინდექსი **სამ კატეგორიად დაიყო:**

1. **„ინტერნეტით მომსახურების ხარისხის შეფასების ინდექსი“;**
2. **„ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურის ხარისხის ინდექსი“;**
3. **„ადამიანური რესურსების პოტენციალის ინდექსი“.**

თავის მხრივ, ეს კატეგორიებიც იყოფოდა ქვეკატეგორიებად:

1. იმისათვის რომ ობიექტურად ყოფილიყო შესწავლილი ქვეყნებს შორის არსებული სხვაობები, ელექტრონული მმართველობის სფეროში შემუშავდა **„ინტერნეტით მომსახურების ხარისხის შეფასების ინდექსი“**. შეფასება დადგინდა 5 ძირითადი კატეგორიისაგან, ანუ დონისაგან. ის ქვეყანა, რომელიც დააკმაყოფილებდა ხუთივე დონის მოთხოვნას იღებდა მაქსიმალურ შეფასებას. ეს ძირითადი დონეები გახლდათ:

პირველადი, პრიმიტიული დონე. მთავრობას აქვს შექმნილი ვებ-გვერდები/საიტები „ლინკებით“ (ან მათ გარეშე) განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, შრომის, ფინანსთა სამინისტროებზე, მაგრამ ინფორმაცია, ძირითადად, არის უძრავი, ინერტული, გამოირჩევა მეტად დაბალი ურთიერთქმედების დონით მოქალაქეებთან;

მეორე, უფრო წინ წასული დონე. მთავრობა აწვდის უფრო მეტ ინფორმაციას სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველი სტრუქტურების შესახებ. „ლინკები“ უკავშირდება საარქივო ინფორმაციას, დოკუმენტებს, მოხსენებებს, კანონებს, რეგულაციებს, მიმდინარე სიახლეებს;

მესამე, ინტერაქტიური დონე. მთავრობა უზრუნველყოფს მოსახლეობას ფორმებით გადასახადების შესავსებად, ლიცენზიების გასახლებლად. არსებობს ინტერაქტიური პორტალები ან ვებ-გვერდები, რათა უფრო ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი გახდეს მოსახლეობის დროუ-

1. Central Intelligence Agency, The Work of A Nation, The Centre of Intelligence. The World Fact Book, Publications, Georgia, Economy, Washington D.C.: CIA, 2009, see: http://www.cegstar.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=46&info_id=1084

2. UN E-government Survey 2008, From E-government to Connected Government, Op.cit., <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/UN/UNPAN028607.pdf>

ლი და ხარისხიანი მომსახურება;

მეოთხე, ტრანსაქციური დონე. მთავრობა მოქალაქეებთან ორმხრივი ურთიერთქმედების შედეგად განიცდის ტრანსფორმირებას. მომსახურების ეს ტიპი სთავაზობს არჩევანს გადასახადების გადახდის პროცესში, ონლაინ რეჟიმში გაიცემა პირადობის, დაბადების მოწმობები, პასპორტები და ლიცენზიები, ხდება მათი განახლება, ასევე სხვა ურთიერთქმედებები 24/7 უწყვეტ რეჟიმში.

მეხუთე, შერწყმის დონე. მთავრობა მოსახლეობასთან წარმოადგენს ჰარმონიულ ერთობას, რომელიც აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნებს ინტეგრირებული ერთიანი ინფრასტრუქტურის მეშვეობით. ეს უმაღლესი, ყველაზე რთული დონეა ონლაინ მომსახურების და გააჩნია ხუთი მახასიათებელი:

- ა) ჰორიზონტალური კავშირი (სახელმწიფო დაწესებულებებს შორის);
- ბ) ვერტიკალური კავშირი (ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებთან);
- გ) ინფრასტრუქტურული კავშირები (ინტეგრირებული სისტემა);
- დ) კავშირი მთავრობებსა და მოქალაქეებს შორის;
- ე) უწყვეტი კავშირი მომხმარებლებს შორის: მთავრობას, კერძო სექტორს, აკადემიურ ინსტიტუტებს, არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებასთან. მთავრობა ყოველნაირად ეხმარება მოქალაქეებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.¹

2. ძირითადი ინდექსის მეორე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა **ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურის ხარისხის ინდექსი**, რომელიც შედგებოდა 5 კომპონენტისგან: ინტერნეტის, პერსონალური კომპიუტერების, ძირითადი სატელეფონო ხაზების, მობილური ტელეფონების, ერთიანი მომსახურების სისტემის მომხმარებელთა რაოდენობით ყოველ 100 კაცზე. თითოეულ კომპონენტს 20% ეთმობოდა.²

3. ძირითადი ინდექსის მესამე კომპონენტს წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული **„ადამიანური რესურსების პოტენციალის ინდექსი“**. ეს კატეგორია ორი კომპონენტისგან შედგებოდა: ზრდასრული ადამიანების წერა-კითხვის ცოდნის დონისგან - ეთმობოდა 70%. მეორე კომპონენტი, 30%-ით, მოსახლეობის ელექტრონულ მმართველობაში ჩაბმის წილს მოიცავდა. „ადამიანური რესურსების პოტენციალის ინდექსის“ მეშვეობით უნდა განსაზღვრულიყო ქვეყნების პოტენციალი გამჭვირვალე მმართველობის სისტემის დამყარების საქმეში, მოქალაქეების შესაძლებლობა, გამოიყენონ მთავრობაზე ზემოქმედების ახალი არხები, ბერკეტები და ჩართულიყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.³

გაეროს აღნიშნული კვლევა ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რადგან მასში განხილულია მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყნის მდგომარეობა, მ.შ. სამხრეთ კავკასიისა და რუსეთის პოტენციალი, რაც ამ ქვეყნებში არსებული ვითარების შედარებითი ანალიზის საშუალებას გვაძლევს.

გაეროს კვლევის **„ქვეყნების მიერ ელექტრონული მმართველობის გამოყენების მზადყოფნის ინდექსის“ ძირითადი ჯამური ქულების** მიხედვით, საქართველოს მინიჭებული აქვს საკმაოდ დაბალი (1.00 მაქსიმალური ქულიდან), მხოლოდ 0.45, სომხეთს - 0.41, აზერბაიჯანს - 0.46,

1. UN E-government Survey 2008, Op.cit., 15-18.

2. Ibid., pp.16-17.

3. Ibid., pp. 17-18.

რუსეთს კი - 0.51 ქულა.¹

შესაბამისად, საქართველო 192 ქვეყნიდან არცთუ ისე სახარბიელო 90-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი - 89-ე, სომხეთი - 103-ე, რუსეთის ფედერაცია - 60-ე.² მონინავე 35 ქვეყნის უდავო ლიდერები არიან სკანდინავიის ქვეყნები: პირველ ადგილზეა შვედეთი, მეორეზე - დანია, მესამეზე - ნორვეგია, აშშ-ს კი მხოლოდ მეოთხე ადგილი უკავია.³

ამ ძირითადი ინდექსის პირველი კომპონენტის შედეგითაც - „**ინტერნეტით მომსახურების შეფასების ხარისხით**“, საქართველოს ადგილი მსოფლიო რეიტინგში მეტად მოკრძალებულია. ხუთი კომპონენტის ჯამური მონაცემები მხოლოდ 32%-ს შეადგენს. საქართველოს კარგი შეფასებები აქვს პირველი და მეორე დონის მომსახურების კატეგორიებში, შესაბამისად, 75% და 73%, მესამე დონის მომსახურების სფეროში მხოლოდ 27%. რაც შეეხება მეოთხე და მეხუთე დონის მომსახურებას საქართველოს მთავრობის საქმიანობა 0%-ით შეფასდა.⁴ ქულების ჯამური რაოდენობით ამ კატეგორიაში, საქართველოს მხოლოდ 0.35 ქულა აქვს. მოკრძალებული პოზიცია აქვს სომხეთსაც. მისი ინდექსი განისაზღვრა 0.27 ქულით, რუსეთის - 0.33, აზერბაიჯანის - 0.39. საუკეთესო მაჩვენებლები კი გააჩნიათ დანიას - 1.00 ქულა, შვედეთს - 0.98, აშშ-ს - 0.95.⁵

ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურის ხარისხის ინდექსით საქართველოს და აზერბაიჯანს აქვს 0.10 ქულა, სომხეთს - 0.08, რუსეთს - 0.24. რუსეთს გაცილებით უკეთესი პოზიციები უკავია ვიდრე კავკასიის რესპუბლიკებს, მაგრამ ამავე დროს, რუსეთის ფედერაცია ძალზედ ჩამორჩება მონინავე დასავლეთის ქვეყნებს. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ამ კატეგორიაში საუკეთესო მიღწევები აქვთ სკანდინავიის ქვეყნებსა და შვეიცარიას: ნიდერლანდებს - 0.81 ქულა, შვეიცარიას - 0.79, შვედეთს - 0.78, დანიას - 0.74, ნორვეგიასა და ლუქსემბურგს - 0.73. ამ ქვეყნებს ჩამორჩება აშშ, ციფრული ტექნოლოგიების დამაარსებელი, რომლის ინდექსიც მხოლოდ 0.66 ქულას შეადგენს.⁶

საქართველო 192 ქვეყნიდან არცთუ ისე სახარბიელო 90-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი - 89-ე, სომხეთი - 103-ე, რუსეთის ფედერაცია - 60-ე. მონინავე 35 ქვეყნის უდავო ლიდერები არიან სკანდინავიის ქვეყნები: პირველ ადგილზეა შვედეთი, მეორეზე - დანია, მესამეზე - ნორვეგია, აშშ-ს კი მხოლოდ მეოთხე ადგილი უკავია.

საქართველოში არსებული მეტად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება უშუალო ზეგავლენას ახდენს ინფრასტრუქტურის შეზღუდვაზე. ყოველ 100 ადამიანზე ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობით საქართველო, ისე როგორც აზერბაიჯანი და სომხეთი, იმყოფება ძალზე ჩამორჩენილ ქვეყანათა შორის. საქართველოში ყოველ 100 ადამიანზე მოდის მხოლოდ 7.4 ინტერნეტ მომხმარებელი, სომხეთში - 5.7, აზერბაიჯანში - 9.7.

რუსეთში შედარებით უკეთესი ვითარებაა. იქ 18.2 ინტერნეტ-მომხმარებელია ყოველ 100 ადამიანზე, მაგრამ მსოფლიო ლიდერებთან შედარებით, რუსეთი ისევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება მათ. ნიდერლანდებში ყოველ 100 ადამიანზე 88 ინტერნეტ-მომხმარებელია, ნორვეგიაში - 87, ახალ ზელანდიაში - 78, შვედეთში - 76, აშშ-ში - 69, იაპონიაში - 68.⁷ არსებული დისპარიტეტები, პრაქტიკულად, ხარისხობრივად იგივეა პერსონალური კომპიუტერების, ძირითადი სატელეფონო ხაზების, მობილური ტელეფონების მომხმარებელთა რაოდენობის შეფასებისას.

1. UN E-government Survey 2008, Op.cit., pp. 178-182.
2. Ibid., pp.35,37.
3. Ibid., p.20.
4. Ibid., p.54.
5. Ibid., pp. 178-182.
6. Ibidem.
7. UN E-government Survey 2008, Op.cit., pp.195-201.

ქვეყანაში არსებული ადამიანური რესურსების პოტენციალის ინდექსის მიხედვით საქართველოს მეტად ძლიერი პოზიციები აქვს და მისი მაჩვენებელი შეადგენს 0.92 ქულას, ისევე, როგორც ჩვენ მეზობლებს: აზერბაიჯანის ქულაა - 0.88, სომხეთის - 0.89, რუსეთის - 0.95.¹

ამავე დროს, საქართველოს ძალზე სუსტი პოზიციები აქვს ელექტრონულ მმართველობაში საზოგადოების, მოქალაქეების მონაწილეობის მხრივ. 170 ადგილიდან საქართველო და სომხეთი 135-ე ადგილს იწინააღმდეგებენ, რუსეთი 98-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი კი 49-ეზე. აზერბაიჯანის ასეთი წარმატება გასაკვირია, ვინაიდან მის საერთო დაბალ „ტრენდს“ არ შეესაბამება.²

ქვეყანაში ახლებელი ადამიანური რესურსების პოტენციალის ინდექსის მიხედვით საქართველოს მეტად ძლიერი პოზიციები აქვს და მისი მაჩვენებელი შეადგენს 0.92 ქულას.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, ინფორმაციისა და ელექტრონული მმართველობის მხრივ, იმყოფებიან დაახლოებით თანაბარ დონეზე. მათ, გარკვეულწილად, უსწრებს რუსეთის ფედერაცია, მაგრამ ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს.

საერთო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო, ინფორმაციისა და ელექტრონული მმართველობის მხრივ, იმყოფება განვითარების დაბალ საფეხურზე. ჩვენს ქვეყანას ძლიერი პოზიციები გააჩნია ადამიანური რესურსის მხრივ, მაგრამ სერიოზული ხარვეზების წინაშე დგას უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის, გამოყენების, მოქალაქეთა მომსახურებისა და მათი მმართველობითი პროცესში ჩართვის მხრივ.

რესპუბლიკაში არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ საქართველოს ძალიან რთული გზა აქვს გასავლელი და მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და ფინანსური ინვესტიციების განხორციელება საჭირო, რომ ქვეყანამ შესძლოს, ინფორმაციისა და ელექტრონული მმართველობის მხრივ, დასავლეთის სტანდარტებთან მიახლოვება და, მით უმეტეს, მათი სრული დანერგვა.

1. UN E-government Survey 2008, Op.cit., pp. 202-206.

2. Ibid. pp. 212-216.

E-GOVERNANCE IN GEORGIA: WORLD TENDENCIES

Development of newest digital technologies, especially development of Internet with unprecedented zoom and use, faces administration of government and arranging principles toward the new tasks. Implementation of digital democracy and electronic governance is a result of unprecedented increase of informational technologies and communications in western states.

In condition of digital democracy world progressive countries are facilitating new managing instrument and development of electronic governance. By means of it, relationship of the government toward the society, regions, business and relationship between state structures is more effective; it makes easy and hastens business procedure and civil service.

It is true, that the authorities implemented serious steps for developing e-governance in Georgia, but unfortunately the Georgian parliament hasn't just ratified the conception about electronic governance and accordingly there isn't an ascertained term of implementation, financial recourses or controlling organizations. The conception is only on the level of public discussion, like as concept about informatization, which delays country's further informatization and timely development of electronic governance.

United Nations Department of Economic and Social Affairs Division for Public Administration and Development Management made considerable and interesting researches about quality and affectivity of electronic management. They prepared report of „UN E-government Survey 2008, From E-government to Connected Government“, which presents qualitative analysis of the electronic governance on the base of web sites and public opinion from 190 states. As a result of above-mentioned analyses Georgia as well as Azerbaijan and Armenia are approximately on the equal level (low level) from the direction of informatization and e-governance. The Russian federation is slightly forward, but considerably lags behind developed western countries. Georgia has human recourses powerful potential, but it faces serious gap for implementing new technologies, usage and civil service. Georgia has more complicated ways in the future; it is necessary to make considerable intellectual and financial investment to approach western standards for developing electronic governance and inculcate it.

ინფორმაციის თავისუფლება და ინტერნეტ რეგულირება საქართველოში

(სამართლებრივი ანალიზი)

XXI საუკუნეში კამათს არ იწვევს ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობა და მისი სასიცოცხლო როლი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში. საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებად აღიარებამ¹ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საჯარო ხელისუფლების ღიად საქმიანობის ვალდებულებას და მოქალაქეების წინაშე არსებული ანგარიშვალდებულის ამ გზით შესრულების აუცილებლობას.

დღეს საზოგადოების აქტიური დისკუსიის საგანს წარმოადგენს ამ უფლების სრულყოფილი მოქმედებისათვის სათანადო და ქმედითი მექანიზმების შემუშავება და დახვეწა. სწრაფად განვითარებადი ინტერნეტ-ტექნოლოგიების ფონზე აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იჩენს, რაც თავის მხრივ საჭიროებს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, არსებული რეალობისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისადმი მისადაგებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2004 წელს ამსტერდამში ჩატარებულ კონფერენციაზე, რომელიც ინტერნეტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების თემას მიეძღვნა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების საკითხებზე მომუშავე ეუთოს წარმომადგენელმა წარმოადგინა რეკომენდაციები, რომელთა თანახმად ინტერნეტის მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა ეყრდნობოდეს ფუნდამენტურ კონსტიტუციურ ღირებულებებს, როგორცაა სიბყვის თავისუფლება და მასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა.² ამასთანავე, ხაზი გაესვა საჯარო დანესებულებების მიერ ინტერნეტით ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის აუცილებლობას: „მთავრობებმა ფართოდ უნდა გაავრცელონ ინფორმაცია ონლაინ რეჟიმში. ეს უზრუნველყოფს საჯაროობას და ყოველი მოქალაქის შესაძლებლობას მიიღოს ინფორმაცია ინტერნეტ-ქსელში მიერთებულ ნებისმიერ კომპიუტერზე. მთავრობებმა და სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ ონლაინ რეჟიმში ინფორმაციის გავრცელებას. აუცილებელია განხორციელდეს ისეთი პროექტები, რომელიც გაზრდის შესაძლებლობას უზრუნველყოფილ იქნეს მოქალაქეთა უფლება მიიღონ და გაავრცელონ ონლაინ ინფორმაცია მთავრობისა და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შესახებ“.³

მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მიერ ერთობლივი გადაწყვეტილება ინფორმაციის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებად აღიარების თაობაზე მხოლოდ 2008 წელს იქნა მიღებული, დისკუსია საჯარო ხელისუფლების ანგარიშვალდებულებაზე და ამ ანგარიშვალდებულების შესრულების მექანიზმებზე გაცილებით უფრო ადრე დაიწყო. მართალია, ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციის პროაქტიურად გავრცელების ვალდებულების მხოლოდ ნორმატიულ დონეზე არსებობა, ნამდვილად არ არის საკმარისი უფლების რეალურად დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ როცა ქვეყანაში უკვე 900 000 მეტი ინტერნეტ-მომხმარებელია⁴, აღნიშნული საკითხის აქტუალობა ეჭვგარეშეა.

1. 2008 წლის 26 ნოემბერს ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კონვენცია „ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის თაობაზე“

2. იხ. «Справочник по Свободе Массовой Информации в Интернете», Вена, 2004г. ст. 14

3. იხ. იქვე, გვ. 23

4. http://media.ge/geo/page.php?m=news_detailed&id_num=5016

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი აღიარებს ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლებას:

„საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“

„ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი ასევე აღიარებს და იცავს გამობატვის თავისუფლებას, როგორც ადამიანის უზენაეს და წარუვალ უფლებას, რომელიც მოიცავს ინფორმაციის თავისუფლების უფლებასაც.¹

გაერთიანებული ერების „კორუფციის წინააღმდეგ“² კონვენციის თანახმად „კორუფცია აღარ არის ლოკალური პრობლემა, იგი ტრანსნაციონალური მოვლენაა, რომელიც მოიცავს ყველა

„საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“

ქვეყნის საზოგადოებასა და ეკონომიკას, რაც განაპირობებს საერთაშორისო თანამშრომლობის უდიდეს მნიშვნელობას კორუფციის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის სფეროში.“ შესაბამისად, კონვენციის შემქმნელები მიიჩნევენ, რომ „კორუფციის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ეფექტიანობისათვის აუცილებელია ყოვლისმომცველი და მრავალმხრივი დისციპლინური მიდგომა.“

ამ მრავალმხრივი და დისციპლინური მიდგომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად ხელისუფლების გამჭვირვალედ საქმიანობა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება მიიჩნევა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კონვენციის მე-5 მუხლით სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას „შეიმუშაონ და გაატარონ ეფექტიანი და კოორდინირებული პოლიტიკა კორუფციის უკუქმედებისათვის, რაც ხელს უწყობს ამ საქმეში საზოგადოების ჩაბმას და გამობატვას მართლწესრიგის, საჯარო

საქმეებისა და საჯარო ქონების სათანადო მართვის, პატიოსნების, მოუსყიდველობის, გამჭვირვალეობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებს.“ შესაბამისად, თითოეულმა სახელმწიფომ უნდა შექმნას ამ პრინციპების განხორციელების ეფექტიანი მექანიზმები. აღნიშნული, საჯარო სექტორს ავალდებულებს „შექმნას და განამტკიცოს სამოქალაქო მომსახურების, სხვა არარჩეულ საჯარო თანამდებობის პირთა სამუშაოზე მიღებისა და სამსახურის გავლის, სამსახურებრივი დაწინაურების და პენსიაზე გავლის ისეთი სისტემები, რაც განხორციელდება ეფექტიანობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების საფუძველზე.“

კონვენცია ადგენს გამჭვირვალეობის ვალდებულებას სახელმწიფოს საქმიანობის ყველა სფეროში (სადაც ამა თუ იმ ფორმით არსებობს კორუფციის რისკი) და კორუფციასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიურად გამოქვეყნების ვალდებულებას. უფრო მეტიც, ავალდებულებს წევრი ქვეყნების მთავრობებს უზრუნველყონ საზოგადოების მონაწილეობა აღნიშნულ საკითხებში, რისთვისაც აუცილებელია:

- **გამჭვირვალეობის გაძლიერება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩაბმის ხელშეწყობა;**
- **მოსახლეობისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.**

1. ანალოგიურად „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი“-ის 19-ე მუხლი.

2. რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 10 ოქტომბრის 337-III დადგენილებით

საქართველოს კონსტიტუცია და მოყვანილი საერთაშორისო აქტები ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყონ ინფორმაციის თავისუფლების უფლების შესრულება. უზრუნველყოფის მექანიზმები კი შემოიფარგლება ეფექტიანი მექანიზმების შექმნის ვალდებულებით. ამ საკითხზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2002 წელს შემუშავებულ რეკომენდაციაში „წევრ სახელმწიფოთა მიმართ ოფიციალურ დოკუმენტთა ხელმისაწვდომობის თაობაზე“ ხელმისაწვდომობის ფორმების განსაზღვრებისას მითითებულია, რომ „საჯარო ხელისუფლებას შეუძლია დაუშვას დოკუმენტზე ხელმისაწვდომობა იმ თვალსაზრისით, რომ მიუთითოს განმცხადებელს უფრო ადვილ ალტერნატიულ საშუალებებზე.“

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ თვით სახელმწიფო დანესებულებების ინტერესებში შედის ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლების დასაცავად და შესასრულებლად გამოიყენოს მისთვის ყველაზე ადვილი ალტერნატიული საშუალება - ინტერნეტი.

ელექტრონული გამჭვირვალობისა და მმართველობის საკითხები დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება ქართულ რეალობაში. თუმცა, აღნიშნულმა კანონმდებლობაში სრულყოფილი ასახვა ჯერჯერობით ვერ მოიპოვა. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს, ამ სფეროში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და რეგულირების პრინციპებს.¹ აქედან გამომდინარე, მისი მიზანია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების მომსახურებაზე ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა და საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.² ამდენად, მოყვანილი კანონი ადგენს საერთოდ ელექტრონული კომუნიკაციების არსებობის და მათი საქმიანობის ზოგად სამართლებრივ საფუძვლებს და მის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად აღიარებს საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

ელექტრონული გამჭვირვალობის მეტ-ნაკლებად ხელშესახებ სამართლებრივ საფუძვლებს იძლევა 2008 წლის 14 მარტის კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“. იგი განსაზღვრავს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას და მასში ელექტრონული ხელმოწერის საფუძვლებს. შესაბამისად, იძლევა სახელმწიფო დანესებულებების საიტებზე განთავსებული ინფორმაციისათვის (ოფიციალური დოკუმენტებისათვის) სამართლებრივი სტატუსის მინიჭების კანონიერ შესაძლებლობას. ერთადერთი გამონაკლისია სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია. თუმცა, იმისათვის, რომ ეს კანონი სრულყოფილად ამოქმედდეს აუცილებელია, „სახელმწიფომ შეიმუშაოს შესაბამისი მექანიზმები ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად“.³ ვიდრე ეს მექანიზმები არ იქნება შემუშავებული ამ კანონის მოქმედება „არ ვრცელდება სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე საჯარო-სამართლებრივი უფლე-

**საქართველოს
კონსტიტუცია
და მოყვანილი
საერთაშორისო აქტები
ადგენს სახელმწიფოს
ვალდებულებას
უზრუნველყონ
ინფორმაციის
თავისუფლების უფლების
შესრულება.**

1. იხ. 2005 წლის 2 ივნისის საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, მუხლი 1

2. იხ. იქვე, მუხლი 4, პუნქტი 1

3. იხ. 2008 წლის 14 მარტის საქართველოს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, მუხლი 19, პუნქტი 3.

**„უნდა განვითარდეს
სახელმწიფოს მიერ
განხორციელებული
მოქმედებების
შესახებ ამსახველი
და მაქსიმალურად
ამომწურავი ინფორმაციის
მიღების წყალობით
და ამით ინფორმაცია
ხელმისაწვდომი გახდეს
საზოგადოებისათვის.**

ბამოსილების განხორციელებისას, თუ შესაბამისი კანონით საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.“¹ სამწუხაროდ კანონის გარდამავალი დებულებები არ არის განსაზღვრული, რომელმა დაწესებულებამ და რა ვადაში უნდა შეიმუშაოს ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკა. ამდენად, მისი სრულყოფილი ამოქმედება გადავადებულია გაურკვეველი ვადით. თუმცა, აღნიშნული საკითხი არ აბრკოლებს საჯარო დაწესებულებების მიერ თავიანთ საიტებზე ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებასა და შესაძლებლობას, რადგან ამ შემთხვევაში საუბარია ელექტრონული ფორმით გადაწყვეტილების მიღებაზე (საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე) და არა უკვე მიღებული გადაწყვეტილების, ან არსებული საჯარო ინფორმაციის ვებ-სივრცეში განთავსებაზე.

ინტერნეტ საიტებზე საჯარო ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების სიმწირეს, ერთგვარად, ავსებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2005 წლის 24 ივნისის 550 ბრძანებულებით დამტკიცებული „**საქართველოს ერთიანი ანტიკორუფციული სტრატეგია**.“ სტრატეგიის 2.3 მუხლის თანახმად საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება გაეტარებინა ღონისძიებები საჯარო ინფორმაციის გავრცელების ელექტრონული სისტემის შესაქმნელად. კერძოდ: „უნდა განვითარდეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მოქმედებების შესახებ ამსახველი და მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მიღების წყაროები და ამით ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისათვის.

აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ქვეყანაში ერთიანი, ოფიციალური, სანდო და მუდმივად განახლებადი საინფორმაციო სისტემის შექმნით, რაც მიღწევადაა ერთიანი საინფორმაციო ქსელის ჩამოყალიბების გზით გზით.“

თუმცა, სტრატეგიით განსაზღვრულმა მიზანმა ჯერჯერობით ერთიანი მოქმედების ფორმა ვერ შეიძინა, რადგან ხსენებული სტრატეგიის განსახორციელებლად საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 2 ივლისის 363 განკარგულებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში მან ფრაგმენტული ხასიათი მიიღო. კერძოდ, მიღებულია კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“. ასევე, გეგმით გათვალისწინებულია ელექტრონული ხაზინისა და გადამხდელთა მომსახურების ელექტრონული სისტემის შექმნა. რაც შეეხება საჯარო დაწესებულებების საიტებზე განთავსებულ სავალდებულო მინიმუმს, ეს საკითხები ისევ ღიაა და გადაუწყვეტელი რჩება. უფრო მეტიც, **არც ერთი კანონი არ ავალდებულებს სახელმწიფო დაწესებულებას იქონიოს საკუთარი ვებ-გვერდი.** ერთადერთ გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 ივნისის 550 ბრძანებულება „საქართველოს ერთიანი ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ აგვარებს ელექტრონული გამჭვირვალობის პრობლემას საქართველოში.

საჯარო დაწესებულებათა პროაქტიური გამჭვირვალობის თანამედროვე მოთხოვნებისადმი შეუსაბამოდ უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (ზაკ) ინფორმაციის თავისუფლების შესაბამისი დებულებებიც. ზაკ-ის 42-ე მუხლი იძლევა იმ ინფორმაციების ჩამონათვალს, რომელთა გასაიდუმლოებაც დაუშვებელია:

1. იხ. იქვე, მუხლი 19, პუნქტი 4

ყველას აქვს უფლება იცოდეს:

- ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
- ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;
- გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოხელეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;
- დ) საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოხელეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ პასუხისმგებელი თანამდებობა ან ევალებათ საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;
- ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;
- ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;
- ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;
- თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;
- ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;
- კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;
- ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;
- მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.

შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის გასაიდუმლოება დაუშვებელია და სრულყოფილად უნდა განთავსდეს საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე. თუმცა, რადგან კანონი არ ითვალისწინებს ამ ინფორმაციის საიტებზე განთავსების ვალდებულებას, საჯარო დაწესებულებებს აქვთ „შესაძლებლობა“ თავი აარიდონ მის შესრულებას.

ელექტრონული გამჭვირვალობისადმი სახელმწიფო პოლიტიკის ფრაგმენტული მიდგომა, სწორედ იმაში ვლინდება, რომ არ არსებობს ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც განუსაზღვრავდა საჯარო დაწესებულებებს ვებ-გვერდების შექმნის ვალდებულებას, სავალდებულო სტანდარტებსა და ვებ-გვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის მინიმუმს.

დღეს აღნიშნული საკითხი, ძირითადად, რეგულირდება კონკრეტული უწყებების ხელმძღვანელების მიერ მიღებული აქტებით. მაგალითად, იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის ბრძანება 45 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავს დეპარტამენტის ამოცანებსა და ფუნქციებს, რომელშიც შედის:

**ელექტრონიკა
გამჭვირვალობისადმი
სახელმწიფო პოლიტიკის
ფხაგმენტური მიდგომა,
სწორედ იმაში ვლინდება,
რომ ახ ახსებობს
ერთიანი საკანონმდებლო
აქტი, რომელიც
განუხარავდა საჯარო
დანესებულებებს ვებ-
გვერდების შექმნის
ვალდებულებას,
სავალდებულო
სტანდარტებსა და ვებ-
გვერდზე განსათავსებელი
ინფორმაციის მინიმუმს.**

სამინისტროს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სამინისტროს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა.

სამინისტროში არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ვერსიების კომპიუტერული უზრუნველყოფა, მისი დამუშავების ხელშეწყობა, გავრცელება და დაცვა, ელექტრონული მონაცემთა ბაზების ფორმირება-სრულყოფის ხელშეწყობა და დაცვა.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ; სამინისტროს ვებ-გვერდის მუდმივი სრულყოფა და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, სამინისტროსა და მისი პერსონალის საქმიანობის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.¹

მართალია, მოყვანილ შემთხვევაში მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულია სამინისტროს ვალდებულება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ვერსიები განთავსდეს ვებ-გვერდზე.

ასევე, განხორციელდეს ვებ-გვერდის მუდმივი სრულყოფა და გამართული მუშაობა. თუმცა, ერთი ან რამდენიმე უწყების მიერ საკითხის პოზიტიურად გადაწყვეტა არ შეიძლება მივიჩნიოთ პრობლემის მოგვარებად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებული სამართლებრივი ბაზა ვერ უზრუნველყოფს საქართველოში საჯარო დანესებულებების მხრიდან მათ წინაშე არსებული ვალდებულების - განახორციელონ გამჭვირვალე ელექტრონული მმართველობა, სრულყოფილ შესრულებას. ამისათვის აუცილებელია შემუშავდეს რეკომენდაციები და წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე. ცვლილებებით უნდა დადგინდეს სახელმწიფო დანესებულებებისადმი წაყენებული ერთიანი ვალდებულებები - შექმნან და მოქმედებაში მოიყვანონ მათი უწყებების ვებ-გვერდები. ამ ვებ-გვერდებზე განათავსონ საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებული ყველა ინფორმაცია (კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). რაც საბოლოო ჯამში, ერთის მხრივ, შეამსუბუქებს საჯარო დანესებულებათა საქმიანობას, ასევე შეამცირებს ხარჯს. მეორეს მხრივ, აამაღლებს ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნათა დაცვის ხარისხს.

1. იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის ბრძანება 45 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლები 6, 7.

FREEDOM OF INFORMATION AND INTERNET REGULATION IN GEORGIA

(LEGAL ANALYSIS)

The subject of active debates of the society in XXI century is the development and improvement of appropriate and effective mechanisms for perfect functioning of freedom of information. Against a background of rapidly developing internet technologies the stated issue gains more importance, which in turn requires the development of corresponding legislative base, fitting the existing reality and social requirements.

In this direction special attention should be paid to the legal issues of internet management and internet transparency. In the era of rapidly increasing internet technologies its use plays the vitally important role from the viewpoint of good management implementation. Despite the fact, that the joint resolution of EU member countries on recognition of information freedom as fundamental right was taken only in 2008, debates about responsibility of public authorities and mechanisms of fulfillment of such responsibility started earlier. It is fact, that existence of liability for proactive distribution of information by means of internet on the normative level, really is not enough from the viewpoint of right protection, however when in the country there are more than 900,000 internet consumers (by 2008 year data of Georgian National Communications Commission), the importance of the mentioned issue is without doubt.

Georgian Constitution and International acts determine the state liability to ensure the fulfillment of right of freedom of information. Its fact, that the issues of electronic transparency and management every day become more and more relevant in Georgian reality. However, above mentioned could not get yet the absolute reflection in legislation.

The Georgian Law on „Electronic communications“ determines the legal and economic basis of activity by electronic communication network and means, also the principles of regulation and implementation of competitive environment in this sphere on the territory of Georgia.

The Law on „Electronic signature and electronic paper“ of March 14, 2008, gives more or less sensible legal basis of electronic transparency.

The deficit of legislative acts concerning publication of public information on internet sites is somehow filled with the „The National anti-corruption strategy of Georgia“ approved by the Decree of the President of Georgia №550 of 24 June 2005. According to paragraph 2.3 of the strategy, the Georgian government accepted liability to take measures for implementation of electronic system for public information distribution. However, the strategy defined goal couldn't received yet the structure of united action, as in the action plan for execution of the above mentioned strategy, approved by the decree of the President of Georgia №363 of July 2, 2007 it received the fragmented feature.

The liability of State institutions for having its own web-site is not regulated by Georgian legislation. The one exception could be the Decree of the President of Georgia №550 of 24 June 2005 „The National anti-corruption strategy of Georgia“, which of course can't resolve the problem of electronic transparency in Georgia.

Also, we must consider discrepancy in current requirements of proactive transparency and the article 42 of chapter III of General Administrative code of Georgia, which gives the list of information, secrecy of which is not allowed.

The fragment approach of state policy to electronic transparency is manifested exactly by the fact, that there is no legislative act, which could define the liability for website development to public institutions, obligatory standards and minimum of information to be publicized on the website. The mentioned issues are mainly regulated by the acts approved by managers of specific departments.

In order to fulfill completely and effectively the transparency liability of the State, it is necessary the appropriate legislative base to be presented, which could inform the Public institutions the methods and means of information distribution. Such approach will definitely give the positive results:

It will not allow State departments to avoid the fulfillment of taken responsibilities;

it will facilitate for Citizens and interested persons the possibility of own right realization;

It will decrease expenses of Public institutions, as well as of private persons and so on.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგი 2009 წლის ივლისი - სექტემბერი

კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება რუსეთის ფედერაციაში მოღვაწე არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციის - „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ („Институт Развития Свободы Информации“, Санкт-Петербург, РФ. (www.svobodainfo.org)) მიერ შემუშავებულ, სახელმწიფო ორგანიზაციების ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგის მეთოდოლოგიას. ინსტიტუტს აქვს მრავალწლიანი პრაქტიკა და გამოცდილება სახელმწიფო ორგანიზაციების ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგისა და მათი გამჭვირვალობის შეფასების საქმეში. ამერიკულ ორგანიზაციებთან ერთად, ინსტიტუტი არის ჩვენი ერთ-ერთი პირველი პარტნიორი.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ აპრობირებული მეთოდოლოგია დაიხვეწა და საქართველოს რეალობას მიესადაგა. შემუშავდა ახალი მიდგომები საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციის ფარგლებისა და მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ჩვენ ასევე განვსაზღვრეთ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიმდინარე საქმიანობის გამჭვირვალობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ინსტიტუტის მიერ ჩატარებული პირველადი კვლევის მიზანი იყო გაგვეჩვენა, თუ რამდენად ხელმისაწვდომია სახელმწიფო საინფორმაციო რესურსები საზოგადოებისთვის და ინფორმაციის რა მოცულობაა გამოქვეყნებული სახელმწიფო ორგანოების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე. ასევე, მნიშვნელოვანი იყო გამოქვეყნებული ინფორმაციის ხარისხობრივი მაჩვენებლები. კვლევა პირველ ეტაპზე ატარებდა მხოლოდ შეფასებით ხასიათს, გამიზნული იყო საერთო პრობლემების და არსებული ხარვეზების გამოსავლენად.

პირველადი კვლევის მიზნები:

- *პარამეტრების ჩამონათვალის განსაზღვრა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ოფიციალური საიტების კონტენტის შესაფასებლად. პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივ ნორმატიულ აქტებს (რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობას), საიტზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსის საყოველთაოდ აღიარებულ ტექნიკურ მაჩვენებლებსა და ასევე ვებ-გვერდის მიმართ მომხმარებელთა ცხად მოთხოვნებს;*
- *თითოეული პარამეტრისადმი სოციალური მნიშვნელობის გარკვეული კოეფიციენტის მინიჭება;*
- *საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების თითოეული ორგანოს კომპეტენციის გათვალისწინება შესაბამისი პარამეტრების განსაზღვრის დროს;*
- *პარამეტრებისთვის კრიტერიუმებისა და შეფასების სკალის შემუშავება;*

- ექსპერტთა მიერ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ოფიციალური საიტების კონტენტის შეფასება შემუშავებული პარამეტრებისა და კრიტერიუმების სკალის მიხედვით;
- საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ოფიციალური საიტების ჯამური კოეფიციენტების გამოთვლა.

შეფასების კრიტერიუმები

კვლევის მიმდინარეობისას თითოეულ პარამეტრს მიენიჭა სოციალური მნიშვნელობის კოეფიციენტი (κ -მნიშვნელობა). ეს კოეფიციენტი, კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, განსაზღვრავს კონკრეტული ინფორმაციის მნიშვნელობას და მისდამი საზოგადოების ინტერესის ხარისხს. აღნიშნული კოეფიციენტის განსაზღვრა საჭიროა, რადგან ყველა პარამეტრი ხარისხობრივად ვერ იქნება თანაბარი, სოციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით. მაგალითისთვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საკონტაქტო ინფორმაცია გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დეპარტამენტის თანამშრომელთა ჩამონათვალი. სოციალური მნიშვნელობის კოეფიციენტი განისაზღვრება სამიდან ერთი ხარისხობრივი მაჩვენებლით (1, 2 ან 3).

საბოლოო შეფასების ობიექტურობის მიზნით გაანალიზდა ის გარემოებები, რომლებიც განსაზღვრავს თითოეული სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციის ფარგლებს, ფუნქციებსა და ამოცანებს. განისაზღვრა ის პარამეტრებიც, რომლის მიხედვითაც საიტები არ უნდა შეგვეფასებინა. საბოლოოდ, მიღებული მაჩვენებელი/კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც სახელმწიფო ორგანოს ოფიციალურ საიტზე ამა თუ იმ ინფორმაციის განთავსების აუცილებლობა (κ -აუცილებლობა).

პარამეტრების შეფასების კრიტერიუმებად შეირჩა ინფორმაციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები:

- ინფორმაციის არსებობა/არარსებობა;
- ინფორმაციის სისრულე;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ინფორმაციის აქტუალობა.

ოფიციალურ საიტზე ინფორმაციის განთავსება ან განუთავსებლობა განისაზღვრება არსებობის კოეფიციენტით (κ -არსებობა). კოეფიციენტი ასახავს ინფორმაციის რაოდენობრივ მახასიათებელს და მას შეიძლება გააჩნდეს ორიდან ერთი მაჩვენებელი (1 – ვებ-გვერდზე ინფორმაცია მოცემულია ან 0 - ინფორმაცია საიტზე არ მოიძებნება).

ინფორმაციის სისრულის კოეფიციენტით (κ -სისრულე) განისაზღვრება თუ რამდენად სრულად აისახება ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ცნობებში ესა თუ ის ინფორმაცია. კოეფიციენტს შეიძლება ჰქონდეს, ინფორმაციის სისრულის ხარისხის მიხედვით, სამიდან ერთი მაჩვენებელი:

- სისრულის მაღალი ხარისხი (70-100%) - κ -სისრულე = 1 (ცნობები პარამეტრზე დეტალურადაა მოცემული და ინფორმაციაც წარმოდგენილია სრული მოცულობით);
- სისრულის საშუალო ხარისხი (30-70%) - κ -სისრულე = 0,5 (აუცილებელი ცნობები პარამეტრზე წარმოდგენილია საჭირო რაოდენობით, მაგრამ ინფორმაცია განთავსებულია არასრული მოცულობით; ან ცნობები პარამეტრზე წარმოდგენილია ნაწილობრივ, მაგრამ ინფორმაცია სრული მოცულობით არის განთავსებული);

- სისრულის დაბალი ხარისხი (5-30%) – $K_{\text{სისრულე}} = 0,2$ (ინფორმაცია პარამეტრზე მწირია და ზედაპირული).

ინფორმაციის აქტუალობაში იგულისხმება ინფორმაციის მიღების მომენტისთვის მისი ფასეულობის ხარისხი. კოეფიციენტი დამოკიდებულია მისი მახასიათებლების დინამიკის ცვალებადობაზე და იმ დროის ინტერვალზე, რომელიც გასულია მოვლენის წარმოქმნიდან. აქტუალობა განისაზღვრება კოეფიციენტით ($K_{\text{აქტუალობა}}$) და ინფორმაციის აქტუალობის ხარისხიდან გამომდინარე შეიძლება ჰქონდეს სამიდან ერთი მაჩვენებელი:

- აქტუალობის მაღალი ხარისხი - $K_{\text{აქტუალობა}} = 1$ (ოფიციალური გამოსვლებისა და განცხადებების ტექსტები, ცნობები ოფიციალური ღონისძიებების, ოფიციალური ვიზიტებისა და სამუშაო შეხვედრების შესახებ არაუგვიანეს 7 დღისა. ცნობები სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის შესახებ, საქმიანობის გეგმები, მოხსენებები, ანგარიში, განვითარების პროგრამების აღწერილობები, ცნობები რეგიონული მიზნობრივი პროგრამების განვითარების და ბიუჯეტის შესახებ, მოქალაქეთა მიმართულების მიმოხილვები, გამართული ტენდერები და სავაჭრო ოპერაციები მოცემულია რეალურ რეჟიმში);
- აქტუალობის საშუალო ხარისხი - $K_{\text{აქტუალობა}} = 0,85$ (ოფიციალური გამოსვლების და განცხადებების ტექსტები, ცნობები ოფიციალური ღონისძიებების, ვიზიტების და სამუშაო შეხვედრების შესახებ მოცემულია 14 დღის დაგვიანებით. საქმიანობის - გეგმების, მოხსენებების, ანგარიშის, განვითარების პროგრამების აღწერილობების, რეგიონული მიზნობრივი პროგრამების განვითარებისა და ბიუჯეტის, მოქალაქეთა მიმართულების მიმოხილვების, გამართული ტენდერებისა და სავაჭრო ოპერაციების შესახებ ცნობებში ასახულია გასული წლის ვითარება);
- აქტუალობის დაბალი ხარისხი - $K_{\text{აქტუალობა}} = 0,7$ (ოფიციალური გამოსვლების და განცხადებების ტექსტები, ცნობები ოფიციალური ღონისძიებების, ვიზიტების და სამუშაო შეხვედრების შესახებ არის 14 დღეზე გვიანდელი. საქმიანობის - გეგმების, მოხსენებების, ანგარიშის, განვითარების პროგრამების აღწერილობების, რეგიონული მიზნობრივი პროგრამების განვითარებისა და ბიუჯეტის, მოქალაქეთა მიმართულების მიმოხილვების, გამართული ტენდერებისა და სავაჭრო ოპერაციების შესახებ ცნობებში ასახულია წელიწადზე მეტი ხნის მდგომარეობა).

ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში იგულისხმება საიტზე მისი მოძებნის სიმარტივის ხარისხი. ხელმისაწვდომობა განისაზღვრება კოეფიციენტით ($K_{\text{ხელმისაწვდომობა}}$), რომელსაც, ოფიციალურ საიტზე განთავსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხიდან გამომდინარე, შეიძლება ჰქონდეს სამიდან ერთი მაჩვენებელი:

- ხელმისაწვდომობის მაღალი ხარისხი – $K_{\text{ხელმისაწვდომობა}} = 1$ (ინფორმაცია განთავსებულია მომხმარებლისთვის მოხერხებულად, საიტის ლოგიკურ ნაწილში, თემატურ რუბრიკებში, მისი მოძებნა ადვილია);
- ხელმისაწვდომობის საშუალო ხარისხი – $K_{\text{ხელმისაწვდომობა}} = 0,95$ (ძიება გართულებულია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურ ნაწილში, მაგრამ ცუდადაა სტრუქტურირებული და

მოსაძებნად რთულია ინფორმაციის მთელ მოცულობაში, ან გაბნეულია მთელს საიტზე და არ არის მოხერხებულად დაჯგუფებული შესაბამის გვერდზე;

• ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხი – $\text{კ-ხელმისაწვდომობა} = 0,9$ (ძიება ძალიან გართულებულია, საიტზე ინფორმაცია განთავსებულია მისთვის არალოგიკურ ნაწილში, რუბრიკაში, ინფორმაციის მიკვლევა შეიძლება მხოლოდ სხვა დოკუმენტის ტექსტიდან, ან ინფორმაციის მოძებნა შეიძლება მხოლოდ ძიების ფუნქციის ან საიტის რუკის გამოყენებით).

ინფორმაციის რაოდენობის კოეფიციენტი (კ-რაოდენობა) ასახავს საიტზე უშუალოდ ინფორმაციის არსებობას და არ არის დამოკიდებული ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებელზე. კ-რაოდენობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{კ-რაოდენობა} = \text{კ-სისრულე} \times \text{კ-არსებობა}$$

ინფორმაციის ხარისხის კოეფიციენტი (კ-ხარისხი) ასახავს ინფორმაციის ყველა ხარისხობრივ მაჩვენებელს და გამოითვლება ფორმულით:

$$\text{კ-ხარისხი} = \text{კ-სისრულე} \times (\text{კ-აქტუალობა} + \text{კ-ხელმისაწვდომობა} - 1)$$

ინფორმაციის სოციალური მნიშვნელობის ჯამური კოეფიციენტი (კ-ჯამი) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{კ-ჯამი} = \text{კ-მნიშვნელობა} \times \text{კ-რაოდენობა} \times \text{კ-ხარისხი}$$

ინფორმაციის ჯამური კოეფიციენტი ასახავს ექსპერტების მიერ არჩეული პარამეტრის ყველა მახასიათებელს.

თითოეული სახელმწიფო ორგანოს ოფიციალური საიტის გამჭვირვალობის კოეფიციენტი (კ-გამჭვირვალობა) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:


$$\text{კ-გამჭვირვალობა} = \frac{\sum \text{კ-ჯამი}}{\sum (\text{კ-მნიშვნელობა} \times \text{კ-აუცილებლობა})}$$

ინფორმაციის გამჭვირვალობის ხარისხი ასახავს სახელმწიფო ორგანოების ინფორმაციის გამჭვირვალობის ჯამური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულს.

აღმასრულებელი ხელისუფლების ოფიციალური ვებ-საიტების კონტენტ-ანალიზი ჩატარდა თემატურად დაჯგუფებული პარამეტრების მიხედვით, რომლებიც განაწილებული იყო 11 ბლოკში. (პირველ ეტაპზე განხორციელდა მხოლოდ სამინისტროების ოფიციალური საიტების მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ ორ სამინისტროს, კერძოდ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს www.mrdi.gov.ge და კულტურის ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს www.mcs.gov.ge ოფიციალური ვებ-გვერდები არ ფუნქციონირებდნენ მონიტორინგის ჩატარების განმავლობაში (2009 წლის ივლის-სექტემბერი) და მათი შეფასება ვერ მოხერხდა).

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემები თემატური ბლოკების მიხედვით:

ბლოკი 1 - ზოგადი ცნობები და ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოს შესახებ:



• მონაცემები სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელზე უმეტეს შემთხვევაში შემოიფარგლება მისი ავტობიოგრაფიით. ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების კომპეტენციის აღწერა მხოლოდ საერთო დებულებებშია მოცემული (თუ სახელმწიფო ორგანოს დებულება საერთოდ დევს ოფიციალურ ვებ-გვერ-

დზე). მოადგილეების კომპეტენცია და საქმიანობის სფერო უმრავლეს შემთხვევაში არასრულადაა წარმოდგენილი;

- საერთო საკონტაქტო ინფორმაცია გაბნეულია საიტზე, ზოგ შემთხვევაში კონტაქტის გვერდი არ არის მოცემული ცალკე, სხვადასხვა უწყებებისა და სტრუქტურული ერთეულების საკონტაქტო ინფორმაცია ხშირად არასრულია და რთულად მოსაძებნია, სახელმწიფო ორგანოს ერთიანი საკონტაქტო ცნობარი იშვიათად შეგხვდებათ;
- ინფორმაცია ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს შესახებ მხოლოდ დებულებაშია მოცემული, ხოლო მსგავსი კომპეტენციის სახელმწიფო ორგანოთა ჩამონათვალი არც ერთ ვებ-გვერდზე არ არის მოცემული. ეს, თავის მხრივ, ურთულებს მომხმარებელს სახელმწიფოს სტრუქტურულ წყობაზე და იერარქიაზე სრულფასოვანი წარმოდგენის შექმნას;
- ხშირად საიტზე სახელმწიფო ორგანოს ამოცანების, მიზნებისა და ფუნქციების განსაზღვრა არასრულია. ამის შესახებ ინფორმაცია დებულებაშია მოცემული, მაგრამ ცალკე საიტზე გამოყოფილი არ არის;
- საიტის ოფიციალურობის დამადასტურებელი აღნიშვნა მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს ვებ-გვერდზეა წარმოდგენილი (აქ მხედველობაშია აღნიშვნა „სახელმწიფო ორგანოს ოფიციალური საიტი“ და არა „ყველა უფლება დაცული“).

ბლოკი 2 - სახელმწიფო ორგანოს სტრუქტურა:

- უმრავლეს შემთხვევაში არ არის სტრუქტურული ერთეულების დებულებები, მათი მიზნებისა და კომპეტენციის აღმწერი სრული ცნობები;
- სტრუქტურული ერთეულების საკონტაქტო ინფორმაცია, ხშირად, არასრულად არის მოცემული;
- ცნობები სახელმწიფო ორგანოების ტერიტორიულ ერთეულებზე ზოგად



ხასიათს ატარებს. სათანადოდ არ არის ასახული ტერიტორიული ერთეულების კომპეტენცია, მათი ამოცანები და საქმიანობა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ძალზედ არასრულადაა წარმოდგენილი მათი საკონტაქტო მონაცემები;

- სახელმწიფოს საქვეუნყე-ბო და საჯარო სამართლის იურიდი-ულ პირებზე ინფორმაცია ხშირად

მხოლოდ მათ ვებ-გვერდებზე ბმულებით შემოიფარგლება, მათი დებ-ულებები, მიზნები და ამოცანები, ისევე როგორც საკონტაქტო ინფორმა-ცია, არასრულია და ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხით გამოირჩევა ხელმძღვანელი ორგანოს საიტებზე.

ბლოკი 3 - მონაცემები სახელმწიფო ორგანოს საინფორმაციო რესურსებზე:



- ეს ერთ-ერთი ყველაზე არასრული კომპონენტია სახ-ელმწიფო ორგანოების ვებ-გვერ-დებისა. სახელმწიფო ფლობს დიდი მოცულობის საინფორმა-ციო მასალას, საინფორმაციო დატა-ბაზებს, რეგისტრებს, რე-ესტრებს, როგორც საჯაროს, ისე შიდა მოხმარების. სახელმ-ნიფო ორგანოების საინფორმა-

ციო რესურსებზე ხელმისაწვდომობა ან მათი ჩამონათვალი ძალიან მნიშ-ვნელოვანია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით;


- ამავე დროს, ძალიან იშვიათადაა წარმოდგენილი სახელმწიფო ორგა-ნოს საინფორმაციო რესურსებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის, გაგზავნის, მიღებისა და გაცემის პროცედურული აღწერა. (დადებითად შეიძლება შეფასდეს ის ფაქტი, რომ რიგმა სახელმწიფო უწყებებმა უკვე შექმნეს საჯარო მომსახურების სააგენტოები თუმცა მათი საქმიანობა სა-თანადოდ არ არის აღწერილი თავად ხელმძღვანელი ორგანოს ვებ-გვერ-დებზე).

ბლოკი 4 - მონაცემები სახელმწიფო ორგანოს საქმიანობაზე, მისი ძირითადი კომპეტენციის ფარგლებში:

- უმრავლეს საიტზე არ არის ცალკე გამოყოფილი რუბრიკა მინისტრისა, ასევე მინისტრის მოადგილეების საქმიანობა. ინფორმაცია მიმდინარე

საქმიანობაზე გაბნეულია საიტზე და თემატურად არ არის დალაგებული. ინფორმაციის მოსაძიებლად საიტის არქივებში ხანგრძლივი ძიებაა ჩასატარებელი;

- არასრულად და ზედაპირულადაა მოცემული ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორც კომპეტენციის სფეროში არსებული მაჩვენებლები,



განვითარების დინამიკა, დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია, დარგის განვითარების პროგნოზები და არსებული მაჩვენებლებია;

- უმეტეს შემთხვევაში ინფორმაცია სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებზე და მათ განხორციელებაზე ასევე ზედაპირულად არის წარმოდგენილი;
- სახელმწიფო ორგანოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალ-

დებულებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ისეთი ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება, როგორცაა კომპეტენციის ფარგლებში ჩატარებული შემომნებებისა და თავად სახელმწიფო უწყებაში ჩატარებული შემომნებების შედეგები. ასეთი სახის მასალა ძალზედ იშვიათია და მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. მისასალმებელია, რომ მრავალ ვებ-გვერდზე არსებობს უწყებრივი ინსპექციების ცხელი ხაზი, მაგრამ მათი საქმიანობა და განეული სამუშაოს ანგარიშები სათანადოდ არ არის წარმოდგენილი;

- თითქმის იგნორირებულია ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებისა და მისი თანამშრომლების ქმედებებისა და გადანაცვეტილებების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების პროცედურების შესახებ.

ბლოკი 5 - კანონმდებლობა და სახელმწიფო ორგანოს ნორმატიული საქმიანობა:

- ძალიან არასრულადაა წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანოს შიდა სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების კომპეტენციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტები;
- ისეთი ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ორგანოს ინფორმაციული რესურსების შექმნისა და მოხმარების წესებს თითქმის არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურას არ უდევს ვებ-გვერდზე;
- ასევე არაა დამაკმაყოფილებლად შეიძლება შეფასდეს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში შემუშავების პროცესში მყოფი კანონპროექტები და ამ კანონპროექტებისთვის განკუთვნილი განმარტებითი ჩანაწერები თითქმის სრულიად არის იგნორირებული ოფიციალურ ვებ-გვერდებზე;
- ოფიციალურ ვებ-გვერდებზე არასრულადაა წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის უახლესი დადგენილებები და გან-

და პროცედურა, მოთხოვნათა განხილვის და ინფორმაციის გაცემის გრაფიკი, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია, პირდაპირ საიტიდან მიმართვებისა და განცხადებების გაგზავნის საშუალება;

- სამინისტროების კომპეტენციაში შემავალი სანებართვო და სახელისუფლო მოქმედებების (ლიცენზირება, აკრედიტაცია, აღრიცხვიანობის პირობები, დეკლარაციის გაცემა და ა.შ.) დაწვრილებითი აღწერა, უმეტესწილად, არ არის წარმოდგენილი ოფიციალურ ვებ-გვერდებზე. თუმცა, ასეთი სერვისი ბევრ სამინისტროში არსებობს და მათი ბმულები ცალკეა გამოყოფილი;
- ძალზედ მნიშვნელოვანი იქნებოდა ოფიციალურ საიტებზე სახელმწიფო ორგანოს კომპეტე ნციაში მომხდარი შემთხვევებისა და კანონდარღვევების შესახებ განცხადებების მიღების წესის აღწერაც.

ბლოკი 7 - ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოში მიმდინარე ტენდერების, აუქციონების და სავაჭრო ოპერაციების შესახებ:

უპასუხო
კონკურსი იაპონიის გრანტის პროგრამა ZFR-VII-ით მიღებული ტექნიკის რეალიზაციის შესახებ

- უმეტეს ვებ-გვერდზე ცალკეა გამოყოფილი ტენდერების გვერდი, მიუხედავად ამისა, გაზეთ 24 საათის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია

ტენდერების შესახებ უფრო ახალია, ვიდრე ანალოგიური ინფორმაცია ოფიციალურ საიტებზე;

- საიტებზე ასევე არ არის განთავსებული სახელმწიფო ორგანოსა და ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის გაფორმებული საზოგადოებრივ-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებების მოთხოვნები.

ბლოკი 8 - სახელმწიფო ორგანოების საკადრო პოლიტიკა:

- ჩვენის ღრმა რწმენით, სახელმწიფო ორგანოების გამჭვირვალობის ხარისხის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია სახელმწიფო სტრუქტურაში არსებული ვაკანსიებისა და თანამდებობებზე მიღების წესების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და მაქსიმალური ხელმისაწვდომობა. ამავე დროს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვ-


განცხადებები
ამჟამად შსს-ში ვაკანსია არ არის მაღლობა, რომ ეწვიეთ ჩვენ ვებ-გვერდს.

ლინდა, რომ რიგ სამინისტროებს ცალკე არა აქვთ გამოყოფილი ვაკანსიების გვერდი;

- ხშირად აქტუალობა დაკარგულია ინფორმაცია გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ;
- არ ქვეყნდება ჩატარებული კონკურსების შედეგები და არც კონკურსის

- შედეგების გასაჩივრების პროცედურებია აღწერილი;
- მნიშვნელოვანი იქნებოდა ვებ-გვერდებზე საჯარო სამსახურის ბიუროს - (<http://csb.gov.ge>) საიტის ბმულის ცალკე არსებობაც.

ბლოკი 9 – საფინანსო პოლიტიკა:



- სახელმწიფო ორგანოს გამჭვირვალობასა და მასზე სრულყოფილი საზოგადოებრივი კონტროლის შესახებ, პირველ რიგში, მეტყველებს სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ანალიზმა ცხადყო,

რომ სახელმწიფო ორგანოები სრულად არ ხსნიან ამ ინფორმაციას. გამოქვეყნებული ინფორმაცია უმეტესწილად, შემოიფარგლება ბიუჯეტის ზოგადი მუხლების აღწერით, ხოლო წინა წლების ბიუჯეტის აღსრულება არასრულყოფილადაა მოცემული.

ბლოკები 10 - 11 - ინფორმაციის მარტივად აღქმის კრიტერიუმები და დამატებითი პარამეტრები:

- ამ მხრივ ოფიციალური ვებ-გვერდები კარგად არის სტრუქტურირებული, უმეტეს საიტს აქვს საკუთარი რუკა, რაც აადვილებს ინფორმაციის მოძიებას. თუმცა შენიშვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ იშვიათია საიტებზე კონტექსტური


ყურადღება: ვებ-გვერდის მეშვეობით გამოფიქრებული წერილი ატარებს საინფორმაციო ხასიათს, შესაბამისად მასზე გაცემული პასუხი ვერ იქნება იურიდიული ძალის მატარებელი.

- საძიებო სისტემების არსებობა, ჩამოსატვირთი დოკუმენტების ზომისა და ფორმატის აღნიშვნა, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა;
- მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს საიტი იძლევა ოფიციალური ინფორმაციის გამონერის შესაძლებლობას, ფორუმისა თუ ინტერაქტიული გამოკითხვების მეშვეობით საზოგადოებრივი აზრის დაფიქსირების საშუალებას და ა.შ.


მონიტორინგის შედეგები

რეიტინგის ინდექსი	სახელმწიფო ორგანოს დასახელება	ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი	ინტერნეტ გამჭვირვალობის ხარისხი
1	ფინანსთა სამინისტრო	www.mof.ge	41,17%
2	საგარეო საქმეთა სამინისტრო	www.mfa.gov.ge	24,76%
3	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	www.moe.gov.ge	23,76%
4	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	www.mes.gov.ge	22,45%
5	ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	www.economy.gov.ge	22,26%
6	ენერჯეტიკის სამინისტრო	www.minenergy.gov.ge	21,60%
7	იუსტიციის სამინისტრო	www.justice.gov.ge	20,05%
8	თავდაცვის სამინისტრო	www.mod.gov.ge	18,40%
9	შინაგან საქმეთა სამინისტრო	www.police.ge	17,19%
10	სახელმწიფო მინისტრის აპარატი დიასპორის საკითხებში	www.diaspora.gov.ge	14,88%
11	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	www.moh.gov.ge	14,68%
12	სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	www.mcla.gov.ge	14,66%
13	სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში	www.eu-nato.gov.ge	14,41%
14	ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	www.mra.gov.ge	14,09%
15	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	www.moa.gov.ge	13,87%
16	სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეინტეგრაციის საკითხებში	www.smr.gov.ge	13,59%
17	რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	www.mrdi.gov.ge	0,00%
18	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო	www.mcs.gov.ge	0,00%

სახელმწიფო ორგანოების ინტერნეტ გამჭვირვალობის ხარისხი



ვებ-გვერდებზე ინფორმაციის არსებობა და წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხობრივი მაჩვენებლები ძირითადი ბლოკების მიხედვით



■ ინფორმაციის არსებობის მაჩვენებელი
■ წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხის მაჩვენებელი

ჩატარებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი

ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ორგანოების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია ზოგადი ხასიათისაა და არ ქმნის მომხმარებლისთვის, საჯარო უწყებების საქმიანობის ყველა ასპექტზე სრულფასოვან წარმოდგენას. ისეთი ინფორმაცია, როგორცაა: საბიუჯეტო სახსრების ათვისება, სახელმწიფო ორგანოების ხელთ არსებული მონაცემთა ბაზები, განუული და დაგეგმილი სამუშაოები, კომპეტენციის სფეროს მაჩვენებლების სრული ანალიზი, კანონშემოქმედებითი საქმიანობა და საკადრო პოლიტიკა - ძალზედ არასრულადაა წარმოდგენილი.

სახელმწიფო ორგანოთა უმეტესობა ჯერჯერობით ვერ აღიქვამს ინტერნეტს, როგორც საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ეფექტურ საშუალებას, მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო საინფორმაციო რესურსების მოხმარების ხელმისაწვდომ ალტერნატივას და ბაზას.

ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ორგანოები ჯერ კიდევ არ იყენებენ ინტერნეტს, როგორც მოქალაქეებთან და ორგანიზაციებთან ინტერაქტიული ურთიერთობის ეფექტურ გზას.

სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლობა ინტერნეტ-სივრცეში არა მხოლოდ როგორც ინფორმაციული ხასიათის ვებ-გვერდის, არამედ სახელმწიფო სერვისის ვებ-პორტალის სახით, მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქვს შექმნილი. ასეთ ვითარებაში საქართველოში თანამედროვე ელექტრონულ მმართველობაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია.

იმისთვის, რომ სახელმწიფო ორგანოების ოფიციალურ ვებ-გვერდებს ჰქონდეთ მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ოთხ ძირითად კრიტერიუმს:

- **ვებ-გვერდების შინაარსის საყოველთაოდ მიღებულ ტექნიკურ მაჩვენებლებს;**
- **აკმაყოფილებდეს ფიზიკური და იურიდიული პირების კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ოფიციალური ვებ-გვერდებიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის გზით;**
- **საიტის შინაარსის შესატყვისობას საკანონმდებლო ნორმებთან, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;**
- **სახელმწიფო ორგანოების ერთიან მიდგომას ოფიციალური ვებ-გვერდების შინაარსისა და სტრუქტურული ნაწილის მიმართ.**

სამწუხაროდ, ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგმა დაადასტურა, რომ ყველა გამოკვლეულ ვებ-გვერდზე არსებობს ხარვეზები ოთხივე ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი აპირებს გააგრძელოს თავისი საქმიანობა სახელმწიფო ორგანოების ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგის კუთხით.

შემდგომი საქმიანობა:

- აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანოების ვებ-გვერდების მონიტორინგის გაგრძელება;
- საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების ვებ-გვერდების მონიტორინგი;
- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგი;
- ტერიტორიული ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდების მონიტორინგი;
- საკანონმდებლო ცვლილებათა ინიცირება და ლობირება ელექტრონული მმართველობის თანამედროვე ფორმების დასამკვიდრებლად.

საქართველოს სახელმწიფო ვებ-სივრცის მონიტორინგისა და კვლევის დეტალური შედეგები, ისევე როგორც შემუშავებული რეკომენდაციები, გამოქვეყნდება ინსტიტუტის წლიურ ანგარიშში.

AUDITING OF OFFICIAL WEB-SITES OF STATE EXECUTIVE AUTHORITIES OF GEORGIA

Presented study is based on the methodology of auditing of official web-sites of state agencies developed by the non-governmental, non-commercial organization “Institute for Information Freedom Development” operating in the Russian Federation (“Институт Развития Свободы Информации”, Санкт-Петербург, РФ. (www.svobodainfo.org)). As a result of practical work through many years, the Institute has become well-experienced in auditing of official web-sites of state agencies and evaluation of transparency. Along with “The National Security Archive” (The National Security Archive, George Washington University, Washington DC. (www.nsarchive.org))), the Institute represents one of the first partners of our organization. Within the framework of a conference held in Telavi, Georgia through May 8-11, 2009 (<http://freedominfo.org/news/20090522.htm>), it was resolved to set up a coalition of organizations (www.foi-eurasia.org) operating in the area of human rights and freedom of information across the former Soviet countries.

Methodology approved by the Foundation for Development of Freedom of Information has been perfected and adapted to the Georgian reality. New approaches have been developed with consideration of competences and peculiarities of state executive authorities. We have also determined qualitative and quantitative characteristics of transparency of activities undertaken by the Georgian state executive agencies.

Purpose of the primary study conducted by the Institute was to find out as to what extent the state information resources are available and what portion of information is published on official web-sites of state authorities. Besides, qualitative indices of published information were rather important. At the initial stage of the study, only assessment was made aimed at detection of common challenges and existing shortcomings.

Web-sites of executive power were monitored (Initially, only web-sites of Ministries). It is worth to note that official web-sites of two ministries, namely, Ministry of Regional Development and Infrastructure www.mrdi.gov.ge and Ministry of Culture, Protection of Monuments and Sport www.mcs.gov.ge were not functioning during auditing process (July-September, 2009) and it was impossible to conduct evaluation. Content analysis was made according to thematically grouped parameters classified into 11 blocks:

Block 1 – General references and information on the state authority;

Block 2 – Structure of the state authority;

Block 3 – Data on information resources of the state authority;

Block 4 – Data about the activities of the state authority in the sphere of its major competence;

Block 5 – Legislation and statutory activity of the state authority;

Block 6 – A framework of activities of the state authority, in regards to supporting the implementation of the rights, freedoms and legal interests of legal and physical persons;

Block 7 – Information about ongoing tenders, auctions and commercial transactions taking place at the state authority;

Block 8 – Human resources policy of the state authority;

Block 9 – Financial policy of the state authority;

Block 10 – 11 – Criteria for simplicity of information appropriation and additional important data.

As a result of analysis, it can be concluded that information placed on official web-sites of state authorities is of a general nature and does not provide complete opinion on all aspects of their activities for the user. Information, like use of budget funds, information on available information systems, full analysis and data on accomplished and planned operations, law-making activity and staff policy, is presented absolutely incompletely.

Most of state authorities fail to understand that the web-site is an effective device for dissemination of complete information on their activities and an available alternative/base for citizens and organizations to use state information resources.

In addition, it should be noted that state authorities yet are not using internet as an effective way for interactive communication with citizens and legal entities.

The only state authority that is represented in the internet space in form of not only informative web-site, but also through state service web-portal, is the Ministry of Finance of Georgia. Considering this fact, it is yet too early to talk about modern interactive governance in Georgia.

In order to ensure that state authorities have their own official web-sites with high quality parameters, they need to meet the four principal criteria:

- Universally accepted technical parameters of the contents of web-sites;
- Meeting certain legal requirements of natural persons and legal entities through obtaining public information from the official web-sites;
- Conformity of site contents with legislative regulations governing availability of public information on activities of state authorities;
- Common approach of state authorities towards contents and structural composition of official web-sites.

Unfortunately, auditing of official web-sites has proven that all examined web-sites have some shortcomings according to all four main criteria.

Institute for Development of Freedom of Information plans to continue its efforts in view of auditing of official web-sites of state authorities.

Follow-up activities:


- To continue auditing of web-sites of state executive authorities;
- To conduct auditing of web-sites of legislative and court authorities;
- To conduct auditing of web-sites of state sub-agency institutions and legal entities of public law;
- To conduct auditing of web-sites of territorial agencies and municipalities;
- To initiate and support legislative changes aimed at introduction of up-to-date forms of electronic governance.

Detailed outcomes of monitoring and study of Georgian state web-space as well as developed recommendations will be published in the annual report of the Institute.


RESULTS OF AUDITING

Index of Ranking	Name of a State Authority	Address of the official web-site	Level of Internet Transparency
1	Ministry of Finance	www.mof.ge	41,17%
2	Ministry of Foreign Affairs	www.mfa.gov.ge	24,76%
3	Ministry of Environment and Natural Resources	www.moe.gov.ge	23,76%
4	Ministry of Education and Science	www.mes.gov.ge	22,45%
5	Ministry of Economic Development	www.economy.gov.ge	22,26%
6	Ministry of Energy	www.minenergy.gov.ge	21,60%
7	Ministry of Justice	www.justice.gov.ge	20,05%
8	Ministry of Defence	www.mod.gov.ge	18,40%
9	Ministry of Internal Affairs	www.police.ge	17,19%
10	Office of the State Minister on the Diaspora Issues	www.diaspora.gov.ge	14,88%
11	Ministry of Health, Labour and Social Protection	www.moh.gov.ge	14,68%
12	Ministry of Corrections and Legal Assistance	www.mcla.gov.ge	14,66%
13	Office of the State Minister for European and Euro-Atlantic Integration	www.eu-nato.gov.ge	14,41%
14	Ministry of Refugees and Resettlement	www.mra.gov.ge	14,09%
15	Ministry of Agriculture	www.moa.gov.ge	13,87%
16	Office of the State Minister for Reintegration	www.smr.gov.ge	13,59%
17	Ministry of Regional Development and Infrastructure	www.mrdi.gov.ge	0,00%
18	Ministry of Culture, Monument Protection and Sport	www.mcs.gov.ge	0,00%

LEVEL OF INTERNET TRANSPARENCY OF STATE EXECUTIVE AUTHORITIES OF GEORGIA



EXISTENCE OF INFORMATION AND LEVEL OF INTRODUCED INFORMATION AT OFFICIAL WEB-SITES ACCORDING TO MAIN BLOCKS



„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ განსაკუთრებულ მადლობას უხდის ამერიკის შეერთებული შტატების „ეროვნული უსაფრთხოების არქივს“, რომლის დახმარებითა და თანადგომით მოხდა ინსტიტუტის საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა.

ასევე, ინსტიტუტი დიდ მადლობას მოახსენებს სანკტ-პეტერბურგის „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ აღმოჩენილი დახმარებისთვის, სახელმწიფო ორგანოების ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავებაში.

ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტი დიდ მადლობას მოახსენებს საინფორმაციო ბიულეტენში გამოქვეყნებული საინტერესო კვლევების ავტორებს, ორგანიზაციის ექსპერტებს, პროფესორ ქეთევან როსტიაშვილს და თამარ კორძაიას.

“Institute for Development of Freedom of Information” expresses its gratitude to the National Security Archive, (at the George Washington University). With support and help of this organization it became possible to publish Institute’s Informational Bulletin.

Institute would like to express appreciations to “Institute for Information Freedom Development” from Saint-Petersburg for providing methodology for auditing official web-sites of state authorities.

“Institute for Development of Freedom of Information” expresses thankfulness to Experts of the Institute Professor Ketevan Rostiashvili and Tamar Kordzaia for their interesting papers published in the Informational Bulletin.

PARTNER ORGANIZATIONS:

The National Security Archive
Suite 701, Gelman Library,
The George Washington University, 2130 H Street,
NW, Washington, D.C., 20037
www.nsarchive.org
www.freedominfo.org
nsarchiv@gwu.edu

The Institute for Information Freedom Development
196105, Saint-Petersburg, c/b 354, Russia
www.svobodainfo.org
www.foi-eurasia.org
institute@svobodainfo.org

Committee to Protect Freedom of Expression,
Armenia,
(ashot.cpe@gmail.com)
Комитет по защите свободы слова (Армения)
Контактная информация:
Армения, Ереван, ул. Бюзанда, 101, кв. 4
Тел. (374 1) 53 00 67; 53 35 41
Факс (374 1) 53 76 62
E-mail: ashot@ypc.am
www.foi-eurasia.org

საკონტაქტო ინფორმაცია

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი,
ნიაღვრის ქ. №4, 0108.
ტელ: +99532 368808
www.idfi.ge
info@idfi.ge
www.foi-eurasia.org

CONTACT INFORMATION

Institute for Development of Freedom
of Information.
4 Niagvari St, Tbilisi, 0108. Georgia
Tel: +99532 368808
www.idfi.ge
info@idfi.ge
www.foi-eurasia.org